

სს გივი ზალდასტანიშვილის სახელობის
ამერიკული აკადემია თბილისში

ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

და

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

სარჩევი

გვერდი

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა	2
დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
სრული შემოსავლების ანგარიშგება	7
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	8
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	9

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1 ზოგადი ინფორმაცია	10
2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა	10
3 კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები	17
4 ფული და ფულის ეკვივალენტები	18
5 მიმდინარე ფინანსური აქტივები	18
6 სხვა მიმდინარე აქტივები	18
7 ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	19
8 მიღებული ავანსები	19
9 სააქციო კაპიტალი	19
10 შემოსავლები გაწეული მომსახურებიდან	20
11 თანამშრომლებზე გაწეული ხარჯები	21
12 სხვა საოპერაციო ხარჯები	21
13 სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	21
14 მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობები, პირობითი ვალდებულებები და საოპერაციო რისკები	21
15 ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან და ნაშთები	24
16 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	24

ფინანსური ანგარიშგების ბოლო გვერდი:

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია სს "გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში"-ს (შემდგომში "კომპანია") ხელმძღვანელობა.

ეს პასუხისმგებლობა მოიცავს:

- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- ფინანსური აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკების შერჩევას და მათ გამოყენებას;
- დასაბუთებული და წინდახედული სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების დაშვების საფუძველზე, თუკი რეალური მდგომარეობა შეუსაბამოს არ ხდის ამ დაშვებას.

მენეჯმენტი აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, დანერგოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტიანი სისტემა;
- აწარმოოს ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისი სააღრიცხვო ჩანაწერები;
- მიიღოს მისთვის გონივრულობის ფარგლებში ხელმისაწვდომი ყველა ზომა, რომ დაიცვას მენეჯმენტი და კომპანიის აქტივები;
- თავიდან აიცილოს და აღმოფხვრას თაღლითობა, სხვა შეუსაბამოებები და დარღვევები.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ და ხელმოწერილია:

ანდრეს კრუზი
დირექტორი



ნანა მიხელიძე
ფინანსური დირექტორი

სს გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში

თარიღი: 11 აპრილი 2025

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

სს გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში-ს აქციონერებსა და მენეჯმენტს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ სს "გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში"-ს (შემდგომში „კომპანია“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე სრული შემოსავლების, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს წლისათვის, რომელიც დასრულდა ზემოთ აღნიშნული თარიღით, აგრეთვე მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებსა და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით და შესაბამება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს (ფასს).

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - "აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე" - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსისა (IESBA კოდექსი) და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, ჩვენ შევასრულეთ ამ ნორმებით და IESBA ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია ჩვენი აუდიტისათვის.

სხვა ინფორმაცია, რომელიც არ არის ფინანსური ანგარიშგება და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნა

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია მმართველობით ანგარიშში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას და ჩვენს მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგებაზე არ მოიცავს სხვა ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებულ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ჩვენი ვალდებულებაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი თანდართული მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედრილობაზე და ასევე მოიცავს თუ არა იგი "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა (გაგრძელება)

სხვა ინფორმაცია, რომელიც არ არის ფინანსური ანგარიშგება და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნა (გაგრძელება)

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- იმ ფინანსური წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, თანხვედრაშია ამავე ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- მმართველობის ანგარიშგება მოიცავს "ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

მენეჯმენტისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

მენეჯმენტი პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტს ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მენეჯმენტს განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, რომ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობას, მათ შორის გამოწვეულს თაღლითობით ან შეცდომით, და გავცეთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებულ ნებისმიერ არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა თუკი გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებლის მიერ ფინანსური ანგარიშგების გამოყენების საფუძველზე მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტის პროცესში აუდიტორის მიერ პროფესიული მსჯელობის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ მენეჯმენტის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, მენეჯმენტის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა (გაგრძელება)

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე (გაგრძელება)

- დასკვნა გამოგვაქვს მენეჯმენტის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ორგანიზაცია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას, მის შინაარსს და ახსნა-განმარტებითი შენიშვნებს. ამასთან ვაფასებთ, ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციები და მოვლენები უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის დაგეგმილი მასშტაბის, ვადებისა და ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

მიხეილ აბაიაძე / სერტიფიცირებული აუდიტორი / პარტნიორი

ფირმის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-320544

აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-865011

თარიღი: 11 აპრილი 2025

თბილისი, საქართველო



სს გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 თანხები მოცემულია ლარში

	შენიშვნა	31-დეკ-24	31-დეკ-23
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	4	3,073,605	2,964,720
დებიტორული დავალიანება		63,492	74,661
მიმდინარე ფინანსური აქტივები	5	1,403,400	1,344,586
გადახდილი ავანსები		84,854	80,612
საგადასახადო აქტივი		-	-
სხვა მიმდინარე აქტივები	6	31,410	3,191
სულ მიმდინარე აქტივები		4,656,761	4,467,770
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	9,816,219	9,935,008
არამატერიალური აქტივები	7	25,332	30,647
სულ გრძელვადიანი აქტივები		9,841,551	9,965,655
სულ აქტივები		14,498,312	14,433,425
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები		112,934	177,838
მიღებული ავანსები	8	3,736,767	3,617,851
საგადასახადო ვალდებულება		110,393	80,121
სულ მიმდინარე ვალდებულებები		3,960,094	3,875,810
გრძელვადიანი მიღებული დეპოზიტები		163,760	158,300
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		163,760	158,300
სულ ვალდებულებები		4,123,854	4,034,110
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	9	1,056,600	1,056,600
დამატებით შეტანილი კაპიტალი	9	701,371	701,371
გაუნაწილებელი მოგება		8,616,487	8,641,344
სულ კაპიტალი		10,374,458	10,399,315
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		14,498,312	14,433,425

ანდრეს კრუზი
 დირექტორი




ნანა მიხელიძე
 ფინანსური დირექტორი

სს გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში

თარიღი: 11 აპრილი 2025

სს გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 თანხები მოცემულია ლარში

	შენიშვნა	31-დეკ-24	31-დეკ-23
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	4	3,073,605	2,964,720
დებიტორული დავალიანება		63,492	74,661
მიმდინარე ფინანსური აქტივები	5	1,403,400	1,344,586
გადახდილი ავანსები		84,854	80,612
საგადასახადო აქტივი		-	-
სხვა მიმდინარე აქტივები	6	31,410	3,191
სულ მიმდინარე აქტივები		4,656,761	4,467,770
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	9,816,219	9,935,008
არამატერიალური აქტივები	7	25,332	30,647
სულ გრძელვადიანი აქტივები		9,841,551	9,965,655
სულ აქტივები		14,498,312	14,433,425
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები		112,934	177,838
მიღებული ავანსები	8	3,736,767	3,617,851
საგადასახადო ვალდებულება		110,393	80,121
სულ მიმდინარე ვალდებულებები		3,960,094	3,875,810
გრძელვადიანი მიღებული დეპოზიტები		163,760	158,300
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		163,760	158,300
სულ ვალდებულებები		4,123,854	4,034,110
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	9	1,056,600	1,056,600
დამატებით შეტანილი კაპიტალი	9	701,371	701,371
გაუნაწილებელი მოგება		8,616,487	8,641,344
სულ კაპიტალი		10,374,458	10,399,315
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		14,498,312	14,433,425

ანდრეს კრუზი
 დირექტორი

ნანა მიხელიძე
 ფინანსური დირექტორი

სს გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში

თარიღი: 11 აპრილი 2025

სს გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში
 სრული შემოსავლების ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 თანხები მოცემულია ლარში

	შენიშვნა	2024	2023
შემოსავლები გაწეული მომსახურებიდან	10	7,638,247	7,466,032
სხვა საოპერაციო შემოსავლები		180,729	177,036
საოპერაციო შემოსავალი		<u>7,818,976</u>	<u>7,643,068</u>
თანამშრომლებზე გაწეული ხარჯი	11	(5,587,411)	(5,171,580)
ცვეთა და ამორტიზაცია	7	(670,211)	(519,463)
სხვა საოპერაციო ხარჯები	12	(1,848,568)	(1,640,979)
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		<u>(287,214)</u>	<u>311,046</u>
კურსთაშორისი სხვაობა		58,215	8,344
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	13	212,792	115,793
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(8,650)	(2,086)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		<u>(24,857)</u>	<u>433,097</u>
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის წმინდა მოგება/(ზარალი)		<u>(24,857)</u>	<u>433,097</u>
სხვა სრული შემოსავლები		-	-
მიმდინარე წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)		<u>(24,857)</u>	<u>433,097</u>

ანდრეს კრუზი
 დირექტორი




ნანა მიხელიძე
 ფინანსური დირექტორი

სს გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში

თარიღი: 11 აპრილი 2025

სს გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში
 სრული შემოსავლების ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 თანხები მოცემულია ლარში

	შენიშვნა	2024	2023
შემოსავლები გაწეული მომსახურებიდან	10	7,638,247	7,466,032
სხვა საოპერაციო შემოსავლები		180,729	177,036
საოპერაციო შემოსავალი		7,818,976	7,643,068
თანამშრომლებზე გაწეული ხარჯი	11	(5,587,411)	(5,171,580)
ცვეთა და ამორტიზაცია	7	(670,211)	(519,463)
სხვა საოპერაციო ხარჯები	12	(1,848,568)	(1,640,979)
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		(287,214)	311,046
კურსთაშორისი სხვაობა		58,215	8,344
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	13	212,792	115,793
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(8,650)	(2,086)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		(24,857)	433,097
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის წმინდა მოგება/(ზარალი)		(24,857)	433,097
სხვა სრული შემოსავლები		-	-
მიმდინარე წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)		(24,857)	433,097

ანდრეს კრუზი
 დირექტორი

ნანა მიხელიძე
 ფინანსური დირექტორი

სს გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში

თარიღი: 11 აპრილი 2025

სს გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში
 ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 თანხები მოცემულია ლარში

	შენიშვნა	2024	2023
მომხმარებლებიდან მიღებული ფულადი სახსრები		7,524,331	7,464,690
სხვა საოპერაციო შემოსავალი		445,297	413,824
შემოსავალი იჯარიდან		23,270	31,525
გადახდილი ხელფასები		(4,875,607)	(4,439,809)
გადახდილი გადასახადები		(1,296,627)	(1,221,626)
საწვავის და ტრანსპორტირების ხარჯი		(402,757)	(411,875)
მომსახურების გაწევისას გაღებული ხარჯები		(277,381)	(237,911)
კომუნალური გადასახადების ხარჯი		(142,667)	(137,531)
შეკეთების და შენახვის ხარჯი		(66,163)	(131,079)
კომუნიკაციის ხარჯი		(40,308)	(37,552)
საკანცელარიო ხარჯი		(37,786)	(50,122)
რეკლამის ხარჯი		(33,074)	(50,316)
მივლინების ხარჯი		(28,676)	(47,544)
წარმომადგენლობითი ხარჯები		(18,677)	(20,540)
დაზღვევის ხარჯი		(14,055)	(11,347)
იურიდიული და საკონსულტაციო ხარჯები		(13,297)	(21,687)
საბანკო ხარჯი		(3,485)	(3,440)
სხვა საოპერაციო ხარჯები		(3,919)	(6,129)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		738,419	1,081,531
ავეჯის შეძენა		(24,172)	(81,927)
აღჭურვილობის შეძენა		(328,329)	(473,592)
ბიბლიოთეკის რესურსების შეძენა		(167,840)	(159,695)
სხვა კაპიტალიზირებად საშუალებებზე გაწეული დანახარჯები		(287,963)	(1,344,702)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები		(808,304)	(2,059,916)
სადეპოზიტო სერტიფიკატის შეძენა		(1,416,150)	(1,344,586)
სადეპოზიტო სერტიფიკატის რეალიზაცია		1,432,055	-
საპროცენტო შემოსავალი		181,249	266,281
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები		197,154	(1,078,305)
კურსთაშორისი სხვაობის გავლენა ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე		(18,384)	8,219
წმინდა ზრდა / (კლება) ფულის და ფულის ეკვივალენტების		108,885	(2,048,471)
ფული და ფულის ეკვივალენტების პერიოდის დასაწყისში		2,964,720	5,013,191
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	4	3,073,605	2,964,720

ანდრეს კრუზი
 დირექტორი




ნანა მიხელიძე
 ფინანსური დირექტორი

სს გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში

თარიღი: 11 აპრილი 2025

სს გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში
 ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 თანხები მოცემულია ლარში

	შენიშვნა	2024	2023
მომხმარებლებიდან მიღებული ფულადი სახსრები		7,524,331	7,464,690
სხვა საოპერაციო შემოსავალი		445,297	413,824
შემოსავალი იჯარიდან		23,270	31,525
გადახდილი ხელფასები		(4,875,607)	(4,439,809)
გადახდილი გადასახადები		(1,296,627)	(1,221,626)
საწვავის და ტრანსპორტირების ხარჯი		(402,757)	(411,875)
მომსახურების გაწევისას გაღებული ხარჯები		(277,381)	(237,911)
კომუნალური გადასახადების ხარჯი		(142,667)	(137,531)
შეკეთების და შენახვის ხარჯი		(66,163)	(131,079)
კომუნიკაციის ხარჯი		(40,308)	(37,552)
საკანცელარიო ხარჯი		(37,786)	(50,122)
რეკლამის ხარჯი		(33,074)	(50,316)
მივლინების ხარჯი		(28,676)	(47,544)
წარმომადგენლობითი ხარჯები		(18,677)	(20,540)
დაზღვევის ხარჯი		(14,055)	(11,347)
იურიდიული და საკონსულტაციო ხარჯები		(13,297)	(21,687)
საბანკო ხარჯი		(3,485)	(3,440)
სხვა საოპერაციო ხარჯები		(3,919)	(6,129)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		738,419	1,081,531
ავეჯის შეძენა		(24,172)	(81,927)
აღჭურვილობის შეძენა		(328,329)	(473,592)
ბიბლიოთეკის რესურსების შეძენა		(167,840)	(159,695)
სხვა კაპიტალიზირებად საშუალებებზე გაწეული დანახარჯები		(287,963)	(1,344,702)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები		(808,304)	(2,059,916)
სადეპოზიტო სერტიფიკატის შეძენა		(1,416,150)	(1,344,586)
სადეპოზიტო სერტიფიკატის რეალიზაცია		1,432,055	-
საპროცენტო შემოსავალი		181,249	266,281
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები		197,154	(1,078,305)
კურსთაშორისი სხვაობის გავლენა ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე		(18,384)	8,219
წმინდა ზრდა / (კლება) ფულის და ფულის ეკვივალენტების		108,885	(2,048,471)
ფული და ფულის ეკვივალენტების პერიოდის დასაწყისში		2,964,720	5,013,191
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	4	3,073,605	2,964,720

ანდრეს კრუზი
 დირექტორი

ნანა მიხელიძე
 ფინანსური დირექტორი

სს გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში

თარიღი: 11 აპრილი 2025

სს გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში
 კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 თანხები მოცემულია ლარში

	შენიშვნა	სააქციო კაპიტალი	დამატებით შეტანილი კაპიტალი	გაუნაწ. მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	9	1,056,600	701,371	8,208,247	9,966,218
პერიოდის წმინდა მოგება		-	-	433,097	433,097
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	9	1,056,600	701,371	8,641,344	10,399,315
პერიოდის წმინდა ზარალი		-	-	(24,857)	(24,857)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	9	1,056,600	701,371	8,616,487	10,374,458

ანდრეს კრუზი
 დირექტორი




ნანა მიხელიძე
 ფინანსური დირექტორი

სს გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში

თარიღი: 11 აპრილი 2025

სს გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში
 კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 თანხები მოცემულია ლარში

	შენიშვნა	სააქციო კაპიტალი	დამატებით შეტანილი კაპიტალი	გაუნაწ. მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	9	1,056,600	701,371	8,208,247	9,966,218
პერიოდის წმინდა მოგება		-	-	433,097	433,097
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	9	1,056,600	701,371	8,641,344	10,399,315
პერიოდის წმინდა ზარალი		-	-	(24,857)	(24,857)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	9	1,056,600	701,371	8,616,487	10,374,458

ანდრეს კრუზი
 დირექტორი

ნანა მიხელიძე
 ფინანსური დირექტორი

სს გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში

თარიღი: 11 აპრილი 2025

1 ზოგადი ინფორმაცია

სს გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში (ID: 204958000) (შემდგომში "კომპანია") დაარსდა 2001 წლის 25 იანვარს ქ. თბილისში, საქართველოში. კომპანიის დამფუძნებლები არიან მამუკა ხაზარაძე, გიორგი ბაზლაძე და გივი ზალდასტანიშვილი.

კომპანია ეწევა საგანმანათლებლო საქმიანობას.

კომპანია დაფუძნებულ იქნა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანიის იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. #37ა. ალტერნატიული მისამართია: თბილისი, ლეო კვაჭაძის ქ. 7ა.

სს "გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში" კომპანიის საბოლოო იურიდიული მფლობელები არიან შემდეგი პირები (მეტი ინფორმაციისათვის იხ. ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა N8 - სააქციო კაპიტალი):

ფასიანი ქაღალდების ტიპი	ბენეფიციარი	აქციების რაოდენობა	აქციების წილი
ჩვეულებრივი აქციები	ირინა წერეთელი	1,042	9.86%
ჩვეულებრივი აქციები	ახალი ქართული ფონდი	1,000	9.46%
ჩვეულებრივი აქციები	სს საქართველოს ბანკი	1,033	9.78%
ჩვეულებრივი აქციები	სს თიბისი ბანკი	1,530	14.48%
ჩვეულებრივი აქციები	შპს თბილავიამშენი	542	5.13%
ჩვეულებრივი აქციები	სს ლისი ლეიქ დეველოპმენტ	2,982	28.22%
ჩვეულებრივი აქციები	სხვა	2,437	23.06%
	სულ	10,566	100.00%

კომპანიას ჰყავდა 90 თანამშრომელი 2024 წლის განმავლობაში (2023წ: 86 თანამშრომელი).

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1 წარდგენის საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დამყარებით.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში. კომპანიის ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა განსაზღვრულია სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებით შენიშვნაში. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

2.2 ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვების გათვალისწინებით, რომ მომავალში კომპანია თავის ფუნქციონირებას განაგრძობს როგორც ფუნქციონირებადი საწარმო. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღისთვის დამფუძნებელი კომპანიის დირექტორთა საბჭოსთვის ცნობილი არ იყო ისეთი ფაქტი ან ვითარება, რომელიც მიუთითებდა რაიმე საფრთხის შესახებ, რომელიც კომპანიის უწყვეტ ფუნქციონირებას ხელს შეუშლიდა.

2.3 საანგარიშგებო პერიოდი

კომპანიის ფინანსური წლის დასაწყისი არის 1 იანვარი, ხოლო დასასრული - 31 დეკემბერი.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.4 საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტა

კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში შესული მუხლები წარმოდგენილია იმ ვალუტაში, რომელშიც კომპანია თავის საქმიანობას ახორციელებს („საოპერაციო ვალუტა“). ფინანსურ ანგარიშგებაში მოყვანილი თანხები წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს.

2.5 ახალი და განახლებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები

2024 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა რიგი ახალი სტანდარტებისა და შესწორებების, თუმცა მათ გავლენა არ ჰქონიათ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

ფასს 16 - იჯარა

"საიჯარო ვალდებულება უკუიჯარის პირობით გაყიდვისას" - საიჯარო ვალდებულება უკუიჯარის პირობით გაყიდვისას ცვლის ფასს 16-ის მოთხოვნებს უკუიჯარის პირობით გაყიდვის ოპერაციებისთვის შემდგომი შეფასების მოთხოვნების დამატებით.

ბასს 7 - ფულადი ნაკადების ანგარიშგება; ფასს 7 - ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები

"მომწოდებლების დაფინანსების შეთანხმებები" - მომწოდებლების დაფინანსების შეთანხმებები ცვლის ბასს 7-ს "ფულადი სახსრების ნაკადების ანგარიშგება" მოთხოვნებს და მოითხოვს საწარმომ დამატებითი ინფორმაცია გაამჟღავნოს მომწოდებლების დაფინანსების შეთანხმებების შესახებ. ცვლილებები ასევე ამატებს მომწოდებლის ფინანსურ შეთანხმებებს, როგორც მაგალითად ფასს 7-ის „ფინანსური ინსტრუმენტები: გამჟღავნება“ ლიკვიდურობის რისკის გამჟღავნების მოთხოვნების ფარგლებში.

ბასს 1 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა

"მოკლევადიანი და გრძელვადიანი ვალდებულებების კლასიფიკაცია" - ბასს 1-ში "ფინანსური ანგარიშგების წარდგენა", ვალდებულებების კლასიფიკაცია, როგორც მიმდინარე ან გრძელვადიანი განმარტავს კრიტერიუმს, ვალდებულების გრძელვადიანი კლასიფიკაციისთვის: მოთხოვნა, რომ სუბიექტს აქვს უფლება ვალდებულების დაფარვა გადადოს ანგარიშგების თარიღიდან მინიმუმ 12 თვით.

"გრძელვადიანი ვალდებულებები კოვენანტებით" - გრძელვადიანი ვალდებულებები კოვენანტებით ცვლის ბასს 1-ის "ფინანსური ანგარიშგების წარდგენა" მოთხოვნებს. ცვლილებები აუმაღლებს საწარმოს მიერ მიწოდებულ ინფორმაციას, როდესაც მისი უფლება, გადადოს ვალდებულების დაფარვა მინიმუმ თორმეტი თვით, ექვემდებარება კოვენანტის შესრულებას. ცვლილებები ასევე პასუხობს დაინტერესებული მხარეების შემფოთებას ასეთი ვალდებულების კლასიფიკაციის შესახებ, როგორც მიმდინარე ან გრძელვადიანი.

2.6 ახალი სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც გამოცემულია, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

ფასს 9-ისა და ფასს 7-ის შესწორებები - ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციისა და შეფასების მოთხოვნების შესწორებები

ეს შესწორებები ცვლის მოთხოვნებს იმის შესახებ, როდის შეიძლება შესწყდეს ფინანსური ვალდებულების აღიარება, თუკი ვალდებულება დაიფარა ელექტრონული გადახდების სისტემის მეშვეობით, ან როდის შეიძლება, რომ ფულადი ნაკადები მიჩნეული იყოს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდად და, მაშასადამე, შესაძლებელი გახდეს ფინანსური აქტივების კლასიფიცირება ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ კატეგორიად.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.6 ახალი სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც გამოცემულია, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)

ფასს 18 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და განმარტებითი შენიშვნები

აღნიშნული სტანდარტი ჩაანაცვლებს ბასს 1-ს - „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მოთხოვნა უცვლელი დარჩება, ახალ სტანდარტს მაინც ექნება გავლენას მოგებისა და ზარალის ანგარიშგების წარდგენაზე და, შესაბამისად, არაპირდაპირ გავლენას იქონიებს ფულადი ნაკადების ანგარიშგებაზეც. ამასთან, ახალი სტანდარტი მოითხოვს სუბიექტის საქმიანობის შედეგების ამსახველი ისეთი მაჩვენებლების გამჟღავნებას, რომლებიც არ მოითხოვება ფასს სტანდარტებით, არამედ ხელმძღვანელობის მიერ არის განსაზღვრული, მაგრამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს ფინანსურ ანგარიშგებასა და მის შენიშვნებში ასახული ინფორმაციის/მონაცემების აგრეგირებისა და დეზაგრეგირების დონეზე. სტანდარტი ძალაში შედის 2027 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდგომ დაწყებული პერიოდებისთვის და გამოიყენება რეტროსპექტიულად.

2.7 უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციები

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები გადაყვანილია საანგარიშგებო ვალუტაში, ტრანზაქციის მომენტისთვის არსებული კურსით.

უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაანგარიშდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსთვის. კონვერტაციის შედეგად წარმოშობილი კურსთაშორისი სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაზე. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება სამართლიანი ღირებულების დადგენის დღეს არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ისტორიული ღირებულების მქონე არაფულადი აქტივები ტრანზაქციის დღეს კონვერტირდება შესაბამისი გაცვლითი კურსის მიხედვით.

გაცვლითი კურსების სხვაობის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აისახება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძირითადი ვალუტების კურსები საანგარიშგებო ვალუტასთან იყო შემდეგი:

	31-დეკ-24	31-დეკ-23
1 აშშ დოლარი/ლარი	2.8068	2.6894
1 ევრო/ლარი	2.9306	2.9753

2.8 ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულისაგან, დეპოზიტებისაგან და სხვა მოკლევადიანი მაღალ ლიკვიდური ინვესტიციებისაგან, რომელთა დაფარვაც მოსალოდნელია სამ თვეზე ნაკლებ ვადაში. ფული და ფულის ეკვივალენტები აღიარდება საბალანსო ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს ბანკში მიმდინარე ანგარიშებსა და ანაზღაურებებს.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.9 დებიტორული დავალიანება

დებიტორული დავალიანება თავდაპირველად აღიარდება მისაღები თანხების რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომ მცირდება საექვო ვალებისათვის შექმნილი რეზერვის მოცულობით. კომპანია საექვოდ მიიჩნევს მოთხოვნებს სადაც არსებობს დასაბუთებული მოლოდინი, რომ დებიტორისაგან მისაღები თანხა ვერ იქნება სრულად მიღებული. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული დებიტორული დავალიანებების ნაშთები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაანგარიშდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. როდესაც მოთხოვნების ამოღება არ ხერხდება, ხდება მათი ჩამოწერა საექვო მოთხოვნების ანარიცხის შემცირების გზით. ჩამოწერილ აქტივებზე თანხის მიღება აისახება მოგება-ზარალში.

2.10 მიმდინარე ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

კომპანია ფინანსურ აქტივს აღიარებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე. თავდაპირველი აღიარებისას, კომპანია ყველა ფინანსურ აქტივსა აღიარებს სამართლიანი ღირებულებით. თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება გარიგების ფასით. ფინანსური აქტივის გარიგების ფასი მოიცავს უშუალოდ გარიგებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, რომლებიც გაწეულ იქნა ფინანსური ინსტრუმენტის შესაძენად.

კომპანია ფინანსურ აქტივებს აღიარებს ანგარიშსწორების თარიღით, ანუ აქტივი აღიარდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას მიიღებს და მისი აღიარების შეწყვეტა ხდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას გაასხვისებს.

შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით. კომპანია ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით და ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივების რეზერვის ხარჯის გაანგარიშების მთავარ კრიტერიუმს წარმოადგენს კომპანიის მიერ ფინანსური აქტივების რისკების შეფასება, კერძოდ, მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა ფინანსური აქტივების საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდგომ.

იმ შემთხვევაში თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაიზარდა ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარებიდან, კომპანია ახდენს მომდევნო 12 თვის სავარაუდო საკრედიტო ზარალის რეზერვის გაანგარიშებას, რომელიც წარმოადგენს მომდევნო 12 თვის განმავლობაში არახელსაყრელი გარემოებების განვითარების შედეგად ფინანსური აქტივის შესაძლო გაუფასურების ზარალს. თუ ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა ან აშკარაა მისი გაუფასურება, კომპანია ქმნის რეზერვს, რომელიც წარმოადგენს ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ ზარალს. ამ შემთხვევაში ფინანსური აქტივის გაუფასურების რეზერვი არის ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი ფულადი ნაკადების შემცირება, დისკონტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.10 მიმდინარე ფინანსური აქტივები (გაგრძელება)

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისთვის, თუ გაუფასურების ზარალი შემდგომ პერიოდში შემცირდება და ეს შემცირება გამყარებულია ობიექტური მტკიცებულებით, გაუფასურების აღიარების შემდგომ მომხდარი მოვლენებით, მაშინ ხდება წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალის უკან დაბრუნება (პირდაპირ ან დებიტორული დავალიანების საექვო მოთხოვნების რეზერვის კორექტირებით) მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. თუმცა, უკან დაბრუნების შედეგად, საბალანსო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს ფინანსური აქტივის ამორტიზირებულ ღირებულებას, რომელიც დაფიქსირდებოდა თუ არ აღიარდებოდა გაუფასურება გაუფასურების უკან დაბრუნების დღეს.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

გარიგებების სამართლებრივი ფორმის მიუხედავად, ფინანსური აქტივების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი გაივლიან აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს "შინაარსის ფორმაზე აღმატებულების" პრინციპზე დაყრდნობით. კრიტერიუმები მოიცავს ორ სხვადასხვა სახის შეფასებას, რომელიც ხორციელდება მკაცრად მოცემული თანმიმდევრობით:

- * მესაკუთრეობის რისკებისა და სარგებლის გადაცემის შეფასება;
- * კონტროლის გადაცემის შეფასება.

2.11 გადახდილი ავანსები

საქონლის და მომსახურების მომწოდებელზე გადახდილი ავანსები აღიარდება გადახდილი თანხის ნომინალური ღირებულებით. გადახდილი ავანსების ნაშთი მცირდება საექვო თანხების მოცულობით, თუკი არსებობს ობიექტური მაჩვენებლები, რომ კომპანია ვერ მიიღებს გადახდილი ავანსის შესაბამის საქონელს ან მომსახურებას დებიტორისაგან.

მარაგებისთვის და სხვა მიმდინარე აქტივებისთვის და მომსახურებისთვის გადახდილი ავანსები, რომლებიც ბუნებით განეკუთვნებიან მოკლევადიან საოპერაციო ხარჯებს, აღიარდება როგორც მიმდინარე აქტივი.

სხვა დანარჩენი ავანსები, მაგ. გრძელვადიანი აქტივის შესაძენად გადახდილი ავანსი, აღიარდება როგორც გრძელვადიანი ავანსი.

გადახდილი ავანსები არ განიხილება, როგორც მონეტარული აქტივები და ამდენად უცხოურ ვალუტაში დენომინირებული გადახდილი ავანსების ნაშთები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არ გადაანგარიშდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისათვის დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით, არამედ წარდგენილია გადახდის მომენტისათვის არსებული კურსით.

2.12 ძირითადი საშუალებები

მატერიალური აქტივები, რომლებიც გამოიყენება საქონლის წარმოების, საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის, სხვისთვის იჯარით გადაცემის ან/და ადმინისტრაციული მიზნებისათვის, რომელთა გამოყენება ნაგარაუდებია ერთ წელზე მეტი პერიოდის განმავლობაში, საბალანსო უწყისში აღიარდება ძირითადი საშუალების სახით. ძირითადი საშუალებები მოცემულია ისტორიული ღირებულებით მინუს ცვეთა და გაუფასურების შედეგად მიღებული ზარალი. ისტორიული ღირებულება მოიცავს აქტივის შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ დანახარჯებს. აქტივებზე შემდგომი დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას ან, საჭიროებისამებრ, ცალკეულ აქტივად აღიარდება მხოლოდ მაშინ, როცა მოსალოდნელია, რომ ჯგუფი ამ აქტივისგან მიიღებს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების საიმედო შეფასება შესაძლებელია. რემონტის და მიმდინარე მომსახურების თანხები იმ საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალს მიეკუთვნება, რომლის განმავლობაშიც მათი გაწევა მოხდა. ცვეთა წრფივი მეთოდის გამოყენებით არის გამოანგარიშებული თითოეული აქტივის შეფასებული სასარგებლო მოხმარების ვადისთვის. ცვეთის დარიცხვა იწყება აქტივების გამოყენების დაწყებისთანავე. სასარგებლო მომსახურების გამოყენებული ვადები შემდეგია:

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.12 ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების ჯგუფი	სასარგებლო მომსაურების ვადა
მიწა	განუსაზღვრელი
შენობები	30 წელი
აღჭურვილობა და ავეჯი	2-4-7 წელი

სასარგებლო მომსახურების ვადა, ნარჩენი ღირებულება და ცვეთის მეთოდი ყოველწლიურად გადაიხედება იმაში დასარწმუნებლად, რომ ისინი ძირითადი საშუალებებიდან მისაღები სავარაუდო ეკონომიკური სარგებელის მოდელს შეესაბამება. ძირითადი საშუალების ჩამოწერა ხდება მისი გაყიდვისთანავე ან როცა მისი გამოყენების ან გაყიდვის შედეგად მომავალი ეკონომიური სარგებელის მიღება ნავარაუდები აღარ არის. აქტივის ბალანსიდან ჩამოწერით მიღებული მოგება ან ზარალი (გაანგარიშებულია როგორც სხვაობა გაყიდვიდან მიღებულ წმინდა შემოსულობასა და აქტივების საბალანსო ღირებულებას შორის) გათვალისწინებულია იმ წლის შემოსავლების ანგარიშგებაში, როცა აქტივის ჩამოწერა მოხდა.

2.13 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი – ფიზიკური ფორმის არმქონე, იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივია. არამატერიალური აქტივი აღიარებულია ბალანსში თუ: (ა) მას სავარაუდოდ კომპანიისთვის მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოტანა შეუძლია და (ბ) აქტივის ღირებულების გაზომვა საიმედოდ არის შესაძლებელი. საწყისი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები უნდა შეფასდეს თვითღირებულებას მინუს აკუმულირებული ცვეთა და აკუმულირებული გაუფასურების ზარალი. არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია წრფივი მეთოდის გამოყენებით გამოიანგარიშება, აქტივის შეფასებული სასარგებლო მოხმარების ვადისთვის. კომპანიის არამატერიალური აქტივები მოიცავს პროგრამული უზრუნველყოფის სისტემებს, რომელთა სასარგებლო მომსახურების ვადად განსაზღვრულია 10 წელი, და სასწავლო აპლიკაციები, რომელთა სასარგებლო მოხმარების ვადა განსაზღვრულია 3-დან 5 წლამდე.

განუსაზღვრელი სასარგებლო მოხმარების ვადის მქონე არამატერიალური აქტივები არ ამორტიზირდება. მათ უტარდებათ გაუფასურების ტესტი ყოველწლიურად და გაუფასურების შედეგად მიღებული ზარალი აისახება მიმდინარე წლის მოგება/ზარალის ანგარიშგებაში. ყოველწლიურად ხდება განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივების შემოწმება, რათა შეფასდეს მათი სასარგებლო მოხმარების ვადა კვლავ განუსაზღვრელია თუ არა. თუ მოკვლევის შედეგად განისაზღვრა მათი მომსახურების ვადა, არამატერიალური აქტივი ამორტიზირდება შეფასებული სასარგებლო მოხმარების პერიოდზე.

2.14 არაფინანსური აქტივების გაუფასურება

აქტივი უფასურდება, თუ მისი მიმდინარე საბალანსო ღირებულება აღემატება აღდგენად ღირებულებას და ასეთ შემთხვევაში აღიარდება როგორც ზარალი. აქტივი მცირდება ცვეთითა და გაუფასურებით, თუ კი გაუფასურების კრიტერიუმები კმაყოფილდება.

კომპანიის არაფინანსური აქტივების მიმდინარე საბალანსო ღირებულება, გარდა მარაგებისა და გადავადებული საგადასახადო აქტივებისა, განიხილება ანგარიშგების გაცემის პერიოდისთვის, რათა განისაზღვროს კმაყოფილდება თუ არა გაუფასურების კრიტერიუმები. გაუფასურების კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში, ხდება აქტივის აღდგენადი ღირებულების შეფასება.

გაუფასურების ტესტირების მიზნებისთვის, ის აქტივები, რომლებზეც ტესტირების ჩატარება შეუძლებელია ინდივიდუალურად, ჯგუფდება უმცირეს ჯგუფებად, რომელთა იდენტიფიცირებაც შესაძლებელია, როგორც ფულის მაგენერირებელ ერთეულად განგრძობითი ოპერაციებიდან. გაუფასურების ზარალი აღიარდება, თითოეული ფულის მაგენერირებელი ობიექტის ჭრილში და ნაწილდება პირველ რიგში გუდვილის მიმდინარე საბალანსო ღირებულების შემცირებაზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში, შემდეგ კი მცირდება აქტივების ჯგუფის მიმდინარე საბალანსო ღირებულება.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

წინა პერიოდში აღიარებული გაუფასურების ზარალი ყოველი წლის ბოლოს ფასდება მის ცვლილებაზე. იმ შემთხვევაში თუ აქტივის აღდგენითი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებულ დაშვებებში ცვლილებაა, გაუფასურების ზარალი შემცირდება (რევერსია). გაუფასურების ზარალის შემცირება (რევერსია) ხდება აქტივის იმ საბალანსო ღირებულებამდე, რომელიც მიღებული იქნებოდა ამავე აქტივზე ამორტიზაცია ან ცვეთა რომ დარიცხულიყო და გაუფასურება რომ არ ყოფილიყო აღიარებული.

2.15 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოიქმნება, როცა მოწინააღმდეგე მხარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს ასრულებს და ეს ვალდებულებები ეფექტური განაკვეთის მეთოდის გამოყენებით ამორტიზებული ღირებულებითაა ასახული. სავაჭრო ვალდებულებები აღიარდება მიმდინარე ვალდებულებად, თუ მათი გადახდა მოსალოდნელია ერთი წლის განმავლობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, სავაჭრო ვალდებულებები აღიარდება როგორც გრძელვადიანი ვალდებულება.

2.16 მიღებული ავანსები

მიღებული ავანსები წარმოიშობა მაშინ როდესაც თანხა მიღებულია წინასწარ. წინასწარ გადახდები (ავანსები) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს ვალდებულებას იქამდე, სანამ არ მოხდება მისი გამომუშავება. როგორ კი ავანსი გამომუშავდება, იმავდროულად ვალდებულება შემცირდება და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შემოსავალი აღიარდება. წინასწარ გადახდილი თანხების 100% წარმოადგენს მოსწავლეებისგან მიღებულ ავანსებს.

2.17 საგადასახადო ვალდებულებების და აქტივების აღრიცხვა

საგადასახადო ვალდებულება და აქტივი ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ნეტო თანხით, რადგან საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით, გადასახადის გადამხდელს აქვს კანონიერი უფლება დაფაროს საგადასახადო ვალდებულება ნეტო საგადასახადო აქტივით.

2.18 სააქციო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობას განსაზღვრავს სს "გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში"-ს წესდება. კომპანიის წესდებაში ცვლილების (საწესდებო კაპიტალში, საკუთარ კაპიტალში და ა.შ. ცვლილების ჩათვლით) შეტანა მხოლოდ კომპანიის პარტნიორების გადაწყვეტილების საფუძველზეა შესაძლებელი. ავტორიზირებული კაპიტალი კომპანიის სააქციო კაპიტალში აღიარდება აქციონერების მიერ უშუალოდ შემოტანილი ღირებულებით. სააქციო კაპიტალის დამატებით გადახდილი ნაწილი მოიცავს ინვესტიორების მიერ აქციის შესაძენად ნომინალურ ღირებულებაზე ზედმეტად გადახდილ თანხებს.

2.19 შემოსავლების აღიარება

ფასს 15-ის მიხედვით: საქონლის ან მომსახურების მიწოდების შედეგად წარმოშობილი შემოსავალი აღიარებულია შემოსავლებში შესაბამისი საქონლის ან მომსახურების გაცვლისას.

მოსწავლეებზე სასწავლო კურსების სწავლის საფასურის გადახდის ვალდებულება განაწილებულია აკადემიური მონაკვეთის მიხედვით. შემოსავალი აღიარებულია ამ აკადემიური მონაკვეთების შესაბამისად. მოკლევადიანი კურსებისთვის, შემოსავალი აღიარდება კურსის ხანგრძლივობის პერიოდში.

შემოსავლები განისაზღვრება მიღებული კომპენსაციების ან მოთხოვნების სამართლიანი ღირებულებით, გამოკლებული დაბრუნებები და სავაჭრო ფასდაკლებები.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.20 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია კანონმდებლობასთან შესაბამისად, რომელიც მოქმედებდა ან ამოქმედდა პერიოდის ბოლოს საქართველოში.

მიმდინარე გადასახადი წარმოადგენს იმ გადასახდელ თანხას, რომლის გადახდა ან დაბრუნება უნდა მოხდეს გასული პერიოდების განმავლობაში დასაბეგრ მოგებასა თუ ზარალთან დაკავშირებით. დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეყრდნობა შეფასებებს თუ ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია საგადასახადო დეკლარაციის შევსებამდე. გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა, აღირიცხება ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა საგადასახადო კოდექსში განახორციელა ცვლილებები და მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ. აღნიშნული ცვლილება ცნობილია როგორც მოგების გადასახადის ესტონური მოდელი. კანონში ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება ყველა იურიდიული პირზე, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა (კომერციული ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში შევა 2019 წლის 1 იანვრიდან. ამ მოდელის მიხედვით მოხდა დაბეგვრის მომენტის გადატანა მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე და შესაბამისად, ძირითად დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება (აქციონერებზე დივიდენდების სახით გაცემული მოგება). ამ მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრა ხდება 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრა 15%-იანი მოგების გადასახადით.

3 კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები

ფინანსური ანგარიშგების მომზადება ფასს-ის მიხედვით მენეჯმენტისგან სააღრიცხვო შეფასებებს და მსჯელობების გამოყენებას მოითხოვს, რომელიც ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე აისახება. სააღრიცხვო შეფასებები კეთდება ისტორიულ გამოცდილებაზე დაყრდნობით და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, მათ შორის მომავალ მოვლენებთან დაკავშირებით მენეჯმენტის იმ მოლოდინების გათვალისწინებით, რომელიც დასაბუთებული ჩანს არსებულ პირობებში. მსჯელობები, რომელიც განსაკუთრებულად აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და შეფასებები, რომელმაც შესაძლოა აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება გამოიწვიოს მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში მოიცავს:

3.1 ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მოხმარების ვადა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მოხმარების ვადის განსაზღვრა მენეჯმენტის შეფასების საგანს წარმოადგენს მსგავსი აქტივების გამოყენების გამოცდილების საფუძველზე. აქტივის სასარგებლო მოხმარების ვადის განსაზღვრისას მენეჯმენტმა უნდა გაითვალისწინოს მისი სავარაუდო გამოყენება, შეფასებული ტექნიკური მოძველება, ფიზიკური ცვეთა და ფიზიკური გარემო, რომელშიც აქტივი იმყოფებოდა. ნებისმერი ზემოთ ჩამოთვლილი პირობის ან შეფასების ცვლილებამ შესაძლოა მომავალი სამორტიზაციო განაკვეთების კორექტირება გამოიწვიოს.

3.2 ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

ანარიცხების აღიარება ხდება სამომავლო ვალდებულებებისთვის, როდესაც კომპანიას აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსული მოვლენების საფუძველზე და სავარაუდოა, რომ კომპანიას მოეთხოვოს ამ ვალდებულებების შესრულება.

სხვა ანარიცხები, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ ვალდებულებად აღიარების კრიტერიუმებს, თანდართულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში როგორც პირობითი ვალდებულებები, რადგანაც, მათი არსებობა დადასტურდება მხოლოდ რომელიმე არასარწმუნო სამომავლო გარემოების დადგომისას, რომელიც მთლიანად არ ექვემდებარება კომპანიის კონტროლს.

3 კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები (გაგრძელება)

3.3 დაბეგვრა

კომპანია ექვემდებარება საქართველოში დაბეგვრას. საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობაში არის არაერთმნიშვნელოვანი დებულებები, რომლებიც ტოვებს მათი სხვადასხვაგვარად ინტერპრეტირების შესაძლებლობას და ამავე დროს, ეს კანონმდებლობა ხშირი ცვლილების საგანია. აღნიშნული კანონმდებლობის მოთხოვნების მენეჯმენტის მიერ მიღებული ინტერპრეტაცია, რომელიც გამოიყენება კომპანიის აღნიშნული ტრანზაქციებისა და საქმიანობის აღრიცხვისა და მართვისათვის შეიძლება ექვექვე დადგეს ან არასწორად იქნეს მიჩნეული რეგიონალური და ცენტრალური მარეგულირებელი ორგანოს მიერ. დასაშვებია, რომ საგადასახადო ორგანოები უფრო ხისტად დაიცავენ კანონმდებლობის მოთხოვნების საკუთარ ინტერპრეტაციას. შედეგად, შესაძლოა ფინანსურ ანგარიშგებაში ნაჩვენები საგადასახადო ვალდებულება განსხვავებული იყოს საგადასახადო ორგანოს მიერ შეფასებულისგან.

4 ფული და ფულის ეკვივალენტები	31-დეკ-24	31-დეკ-23
ლარი	3,063,777	2,958,419
აშშ დოლარი	9,828	6,301
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	3,073,605	2,964,720

კომპანიის ფულადი სახსრები განთავსებულია სს თიბისი ბანკში, რომელიც Fitch-ის მიერ შეფასებულია, როგორც B-ის მქონე (მოკლევადიანი რეიტინგი), BB-ის მქონე (გრძელვადიანი რეიტინგი).

5 მიმდინარე ფინანსური აქტივები

2024 წლის 12 დეკემბერს კომპანიამ შეიძინა თიბისი ბანკის სადეპოზიტო სერტიფიკატი. დეპოზიტის ვადა არის 12 თვე და ვადის ბოლოს დისკონტის პოზიცია შეადგენს 16,000 დოლარს (ნომინალური საპროცენტო განაკვეთი: 3.2%). დეპოზიტის თანხა არის 500,000 დოლარი, რაც კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია როგორც მიმდინარე ფინანსური აქტივი, 1,403,400 ლარის ოდენობით.

2023 წლის 7 დეკემბერს კომპანიამ შეიძინა თიბისი ბანკის სადეპოზიტო სერტიფიკატი. დეპოზიტის ვადა არის 12 თვე და ვადის ბოლოს დისკონტის პოზიცია შეადგენს 16,042.47 დოლარს (ნომინალური საპროცენტო განაკვეთი: 3.2%). დეპოზიტის თანხა არის 499,957.53 დოლარი, რაც კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია როგორც მიმდინარე ფინანსური აქტივი, 1,344,586 ლარის ოდენობით.

6 სხვა მიმდინარე აქტივები

2024 წლის 31 დეკემბერს სხვა მიმდინარე აქტივების, 31,410 ლარის უდიდესი ნაწილი არის მისაღები პროცენტი 22,685 ლარის ოდენობით (სხვა მიმდინარე აქტივები 2023 წლის 31 დეკემბერს შეადგენს 3,191 ლარს).

7 ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ცხრილში მოცემულია კომპანიის ძირითადი საშუალებების ისტორიული ღირებულება და აკუმულირებული ცვეთა საანგარიშგებო პერიოდისთვის:

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობა	აღჭურვილობა და ავიჯი	არამატერ. აქტივი	სულ
ნაშთი 31/12/2022	942,381	9,486,185	2,761,300	94,719	13,284,585
შეძენები	-	1,640,584	681,345	-	2,321,929
ჩამოწერა	-	-	(13,642)	-	(13,642)
ნაშთი 31/12/2023	942,381	11,126,769	3,429,003	94,719	15,592,872
შეძენები	-	47,935	503,400	561	551,896
ჩამოწერა	-	-	(211,945)	-	(211,945)
ნაშთი 31/12/2024	942,381	11,174,704	3,720,458	95,280	15,932,823
აკუმულირებული ცვეთა					
აკუმ. ცვეთა 31/12/2022	-	(2,775,279)	(2,286,185)	(57,968)	(5,119,432)
პერიოდის ცვეთის ხარჯი	-	(299,952)	(213,407)	(6,104)	(519,463)
ჩამოწერილი ძირით. საშ. ცვეთა	-	-	11,678	-	11,678
აკუმ. ცვეთა 31/12/2023	-	(3,075,231)	(2,487,914)	(64,072)	(5,627,217)
პერიოდის ცვეთის ხარჯი	-	(370,807)	(293,528)	(5,876)	(670,211)
ჩამოწერილი ძირით. საშ. ცვეთა	-	-	206,156	-	206,156
აკუმ. ცვეთა 31/12/2024	-	(3,446,038)	(2,575,286)	(69,948)	(6,091,272)
წმინდა საბალანსო ღირებულება					
31/12/2022 მდგომარეობით	942,381	6,710,906	475,115	36,751	8,165,153
31/12/2023 მდგომარეობით	942,381	8,051,538	941,089	30,647	9,965,655
31/12/2024 მდგომარეობით	942,381	7,728,666	1,145,172	25,332	9,841,551

8 მიღებული ავანსები

მიღებული ავანსები წარმოადგენს მოსწავლეების მიერ წინსწრებით გადახდილ სწავლის საფასურს. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აღნიშნულმა თანხამ შეადგინა 3,736,767 ლარი (2023 წლის 31 დეკემბერს 3,617,851 ლარი).

9 სააქციო კაპიტალი

სს "გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში"-ს საწესდებო კაპიტალის ოდენობას განსაზღვრავს კომპანიის წესდება. კომპანიის წესდებაში ცვლილების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ კომპანიის პარტნიორების გადაწყვეტილების საფუძველზე. კომპანიის სააქციო კაპიტალი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 1,056,600 ლარს. სააქციო კაპიტალის დამატებით გადახდილი ნაწილი, ინვესტორების მიერ აქციის შესაძენად ნომინალურ ღირებულებაზე ზედმეტად გადახდილი, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 701,371 ლარს. არ არსებობს იურიდიული, მარეგულირებელი ან სხვა შეზღუდვები კომპანიის აკუმულირებული მოგების გამოყენებასთან დაკავშირებით. ამჟამად, კომპანიას არ აქვს ჩამოყალიბებული კონკრეტული კაპიტალის რეზერვები. კომპანიის აქციები გამოსახულია ლარში.

9 სააქციო კაპიტალი (გაგრძელება)

ცხრილში მოცემულია სააქციო კაპიტალის გადანაწილების დეტალები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

აქციონერი	გამოშვებული აქციების		სულ აქციები (გამოსახული ლარში)
	რაოდენობა	ჩვეულებ. აქციები	
სს ლისი ლეიქ დეველოპმენტ	2,982	28.22%	298,200
სს თიბისი ბანკი	1,530	14.48%	153,000
ირინა წერეთელი	1,042	9.86%	104,200
სს საქართველოს ბანკი	1,033	9.78%	103,300
ახალი ქართული ფონდი	1,000	9.46%	100,000
შპს თბილავიამშენი	542	5.13%	54,200
სს პროკრედიტ ბანკი	500	4.73%	50,000
სს ინჟმშენი	426	4.03%	42,600
შპს საქ. ტელეკომი	300	2.84%	30,000
გოჩა მაცაბერიძე	261	2.47%	26,100
ირაკლი გეგეშიძე	212	2.01%	21,200
შპს ჯი ემ თი სასტუმროები	206	1.95%	20,600
სს ვითიბი ბანკი ჯორჯია	200	1.89%	20,000
შპს ჯეონეთი	100	0.95%	10,000
ლევან ჯიბუტი	82	0.78%	8,200
გიორგი ბაზღაძე	50	0.47%	5,000
გივი ზალდასტანიშვილი	50	0.47%	5,000
მამუკა ხაზარაძე	50	0.47%	5,000
	10,566	100%	1,056,600

დამატებით შეტანილ კაპიტალში შენატანები ეკუთვნით ს.ს "ლისი ლეიქ დეველოპმენტ"-ს, აქციონერ გოჩა მაცაბერიძეს და სხვა აქციონერებს (644,181 ლარი, 56,960 ლარი და 230 ლარი შესაბამისად).

ხოლო ჯამური შენატანები შეადგენდა ს.ს "ლისი ლეიქ დეველოპმენტ"-ის მხრიდან 570,000 დოლარის მიწის ღირებულებას, ხოლო გოჩა მაცაბერიძის მხრიდან ფულად შენატანს 50,000 დოლარს შესაბამისი კურსით ლარში.

	სააქციო კაპიტალი	დამატებით შეტანილი კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება / (ზარალი)	სულ
ნაშთი 31/12/2022 მდგომარეობით	1,056,600	701,371	8,208,247	9,966,218
სააქციო კაპიტალის გამოშვება	-	-	-	-
პერიოდის წმინდა მოგება	-	-	433,097	433,097
ნაშთი 31/12/2023 მდგომარეობით	1,056,600	701,371	8,641,344	10,399,315
სააქციო კაპიტალის გამოშვება	-	-	-	-
პერიოდის წმინდა ზარალი	-	-	(24,857)	(24,857)
ნაშთი 31/12/2024 მდგომარეობით	1,056,600	701,371	8,616,487	10,374,458

10 შემოსავლები გაწეული მომსახურებიდან

კომპანია საქმიანობს განათლების სექტორში და მის ძირითად შემოსავლებს სწავლის ღირებულებისგან მიღებული შემოსავლები წარმოადგენს.

	31-დეკ-24	31-დეკ-23
შემოსავალი ძირითადი პროგრამებიდან	7,126,570	7,098,470
შემოსავალი არაძირითადი პროგრამებიდან	511,677	367,562
სულ შემოსავლები გაწეული მომსახურებიდან	7,638,247	7,466,032

აკადემიური წელი მოიცავს პერიოდს სექტემბრიდან ივნისის ჩათვლით (10 თვე). კომპანიის შემოსავალი თანაბრად ნაწილდება ამ პერიოდზე.

სს გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ლარში

11 თანამშრომლებზე გაწეული ხარჯები	31-დეკ-24	31-დეკ-23
ხელფასის ხარჯი	5,402,253	5,005,147
თანამშრომელთა დაზღვევის ხარჯი	185,158	166,433
სულ თანამშრომლებზე გაწეული ხარჯები	5,587,411	5,171,580

12 სხვა საოპერაციო ხარჯები	31-დეკ-24	31-დეკ-23
სკოლის ძირითად პროგრამებთან დაკავშირებული ხარჯები	456,292	504,247
ტრანსპორტირების ხარჯი	382,337	371,699
სკოლის არაძირითად პროგრამებთან დაკავშირებული ხარჯები	447,525	314,040
შეკეთების და შენახვის ხარჯი	171,390	87,838
კომუნალური გადასახადების ხარჯი	142,992	146,027
საგადასახადო ხარჯი	96,629	85,773
კომუნიკაციის ხარჯი	39,486	41,231
საკანცელარიო ხარჯი	41,446	46,740
რეკლამის ხარჯი	39,483	55,424
იურიდიული და საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი	18,751	23,783
დაზღვევის ხარჯი	13,151	11,437
საბანკო ხარჯი	3,486	3,440
უიმედო და საეჭვო მოთხოვნების ხარჯის ცვლილება	(4,400)	(50,700)
სულ სხვა საოპერაციო ხარჯები	1,848,568	1,640,979

13 სხვა არასაოპერაციო შემოსავალი

2024 წელს სხვა არასაოპერაციო შემოსავალი არის 212,792 ლარი, რაც ძირითადად შეადგენს ბანკში განთავსებულ ფულად სახსრებზე და სადეპოზიტო სერთიფიკატზე გამომუშავებულ საპროცენტო შემოსავალს. 2023 წელს სხვა არასაოპერაციო შემოსავალი არის 115,793 ლარი, საიდანაც 114,136 ლარი შეადგენს ბანკში განთავსებულ ფულად სახსრებზე გამომუშავებულ საპროცენტო შემოსავალს.

14 მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობები, პირობითი ვალდებულებები და საოპერაციო რისკები

14.1 სამართალწარმოება

დღეის მდგომარეობით კომპანია არ არის ჩართული სასამართლო დავებში. კომპანია სასამართლო მორიგების საფუძველზე პერიოდულად იღებს ვადაგადაცილებული სწავლის საფასურის თანხებს დებიტორებისაგან.

2024 წელს გამოვლინდა, რომ კომპანიის ტერიტორიაზე აღწერილი მარადმწვანე ხეების ნაწილი ტერიტორიაზე აღარ არის. აღნიშნულთან დაკავშირებით მიმდინარე ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის საქმეები სამართალწარმოების ეტაპზეა (ბრალი არ არის წარდგენილი), რის ფარგლებშიც კომპანიას დაეკისრება ჯარიმა. ოფიციალური კორესპონდენცია კომპანიას არ მიუღია. კომპანია აქტიურად თანამშრომლობს სამართალდამცავ ორგანოებთან მიმდინარე საქმის ფარგლებში. საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ არის გამოტანილი. ვინაიდან ამ ეტაპზე ჯარიმის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა შეუძლებელია ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს რაიმე სახის ანარიცხს.

14.2 შრომითი საქმიანობის გასამრჯელოები

საპენსიო ასაკს მიღწულ პედაგოგებს კომპანია სთავაზობს პროფესიიდან გასვლის ანაზღაურებას. ანაზღაურება შეადგენს პირის ერთი წლის ხელფასის ტოლ თანხას და გაიცემა იმ შემთხვევაში თუ თანამშრომელი დათანხმდება სკოლის მიერ შეთავაზებულ დამატებით პირობას (მაგ. კოლაბორაციას შემცვლელი მასწავლებლის მომზადებაში) ერთი სასწავლო წლით არდე შრომითი კონტრაქტის დასრულებამდე. დამატებითი პირობა აუცილებელად შესასრულებელი მოთხოვნაა იმისათვის, რომ დასაქმებულმა მიიღოს სკოლის მიერ შეთავაზებული პროფესიიდან გასვლის კომპენსაცია, ერჯერადი ანაზღაურების სახით.

კომპანიის შეფასებით, დამატებითი პირობის არსებობის გამო აღნიშნული შეთავაზება წარმოშობს შესაძლო ვალდებულებას. ანაზღაურება გაიცემა პირობის შესრულების შემდეგ. კომპანიას არ აქვს პირობითი ვალდებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით პირობითი ვალდებულება იყო 66,780 ლარი).

14 მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობები, პირობითი ვალდებულებები და საოპერაციო რისკები (გაგრძელება)

14.3 დაბეგვრა

საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობაში არის არაერთმნიშვნელოვანი დებულებები, რომლებიც ტოვებს მათი სხვადასხვაგვარად ინტერპრეტირების შესაძლებლობას და ამავე დროს ეს კანონმდებლობა ხშირი ცვლილების საგანია. აღნიშნული კანონმდებლობის მოთხოვნების მენეჯმენტის მიერ მიღებული ინტერპრეტაცია, რომელიც გამოიყენება კომპანიის აღნიშნული ტრანზაქციებისა და საქმიანობის აღრიცხვისა და მართვისათვის შეიძლება ეჭვქვეშ დადგეს ან არასწორად იქნეს მიჩნეული რეგიონალური და ცენტრალური მარეგულირებელი ორგანოს მიერ. დასაშვებია, რომ საგადასახადო ორგანოები უფრო ხისტად დაიცავენ კანონმდებლობის მოთხოვნების საკუთარ ინტერპრეტაციას, შედეგად შესაძლოა იქნას დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტები.

14.4 საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიქმნება იმ შესაძლებლობიდან, რომ საპროცენტო განაკვეთის ცვლილებამ შეიძლება გავლენა იქონიოს მომავალ ფულად ნაკადებზე ან ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებაზე. კომპანიას არ აქვს ჩამოყალიბებული ფორმალური პოლიტიკა იმის განსასაზღვრად, თუ რამდენი უნდა იყოს კომპანიის საპროცენტო რისკის მოცულობა ფიქსირებულ და ცვალებად საპროცენტო განაკვეთებთან მიმართებაში.

14.5 სავალუტო რისკი

საკუროს სხვაობის რისკს წარმოქმნის უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები. ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები საბალანსო ღირებულებებით, ვალუტების მიხედვით:

ნაშთები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	აშშ დოლარი		
	ლარი	გამოს. ლარში	სულ ლარში
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	3,063,777	9,828	3,073,605
დებიტორული დავალიანება	60,671	2,821	63,492
მიმდინარე ფინანსური აქტივები	-	1,403,400	1,403,400
სულ ფინანსური აქტივები	3,124,448	1,416,049	4,540,497
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულება	112,934	-	112,934
მიღებული დეპოზიტები	49,355	-	49,355
გრძელვადიანი მიღებული დეპოზიტები	163,760	-	163,760
სულ ფინანსური ვალდებულებები	326,049	-	326,049
წმინდა სავალუტო პოზიცია	2,798,399	1,416,049	4,214,448

ნაშთები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	აშშ დოლარი		
	ლარი	გამოს. ლარში	სულ ლარში
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	2,958,419	6,301	2,964,720
დებიტორული დავალიანება	62,927	11,734	74,661
მიმდინარე ფინანსური აქტივები	-	1,344,586	1,344,586
სულ ფინანსური აქტივები	3,021,346	1,362,621	4,383,967
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულება	177,838	-	177,838
მიღებული დეპოზიტები	50,805	-	50,805
გრძელვადიანი მიღებული დეპოზიტები	158,300	-	158,300
სულ ფინანსური ვალდებულებები	386,943	-	386,943
წმინდა სავალუტო პოზიცია	2,634,403	1,362,621	3,997,024

14 მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობები, პირობითი ვალდებულებები და საოპერაციო რისკები (გაგრძელება)

14.5 სავალუტო რისკი (გაგრძელება)

როგორც ცხრილი გვიჩვენებს, კომპანია მგრძნობიარეა აშშ დოლარის/ლარის გაცვლითი კურსის ცვალებადობაზე. ქვემოთ მოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს, თუ რა გავლენას ახდენს აშშ დოლარი/ლარის გაცვლითი კურსის შესაძლო ცვალებადობა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

გაცვლითი კურსის ცვლილება:	გავლენა დაბეგვრამდე მოგებაზე:	
გაცვლითი კურსის ცვლილება აშშ დოლარის მიმართ	20%	283,210
გაცვლითი კურსის ცვლილება აშშ დოლარის მიმართ	10%	141,605
გაცვლითი კურსის ცვლილება აშშ დოლარის მიმართ	-20%	(283,210)
გაცვლითი კურსის ცვლილება აშშ დოლარის მიმართ	-10%	(141,605)

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

გაცვლითი კურსის ცვლილება:	გავლენა დაბეგვრამდე მოგებაზე:	
გაცვლითი კურსის ცვლილება აშშ დოლარის მიმართ	20%	272,524
გაცვლითი კურსის ცვლილება აშშ დოლარის მიმართ	10%	136,262
გაცვლითი კურსის ცვლილება აშშ დოლარის მიმართ	-20%	(272,524)
გაცვლითი კურსის ცვლილება აშშ დოლარის მიმართ	-10%	(136,262)

14.6 ლიკვიდურობის რისკი

კომპანიისთვის ლიკვიდურობის რისკი შეიძლება განსაზღვრულ იქნეს როგორც აქტივების ფულად ქცევის შეუძლებლობა, როდესაც აუცილებელია ვალდებულების განსაზღვრულ ვადაში დაფარვა. ლიკვიდურობის რისკი არსებობს მაშინ, როცა აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადებში სხვაობაა. ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია კომპანიის აქტივები და ვალდებულებები დაფარვის ვადების მიხედვით.

ნაშთები 31/12/2024

	დაფარვის ვადა		სულ
	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	
ფული და ფულის ეკვივალენტი	3,073,605	-	3,073,605
დებიტორული დავალიანება	63,492	-	63,492
მიმდინარე ფინანსური აქტივები	1,403,400	-	1,403,400
სულ ფინანსური აქტივები	4,540,497	-	4,540,497
სავაჭრო ვალდებულება	112,934	-	112,934
მიღებული დეპოზიტები	49,355	-	49,355
გრძელვადიანი მიღებული დეპოზიტები	-	163,760	163,760
სულ ფინანსური ვალდებულება	162,289	163,760	326,049
წმინდა ლიკვიდ. სხვაობა	4,378,208	(163,760)	4,214,448

ნაშთები 31/12/2023

	დაფარვის ვადა		სულ
	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	
ფული და ფულის ეკვივალენტი	2,964,720	-	2,964,720
დებიტორული დავალიანება	74,661	-	74,661
მიმდინარე ფინანსური აქტივები	1,344,586	-	1,344,586
სულ ფინანსური აქტივები	4,383,967	-	4,383,967
სავაჭრო ვალდებულება	177,838	-	177,838
მიღებული დეპოზიტები	50,805	-	50,805
გრძელვადიანი მიღებული დეპოზიტები	-	158,300	158,300
სულ ფინანსური ვალდებულება	228,643	158,300	386,943
წმინდა ლიკვიდურობის სხვაობა	4,155,324	(158,300)	3,997,024

14 მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობები, პირობითი ვალდებულებები და საოპერაციო რისკები (გაგრძელება)

14.7 საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი, როდესაც ერთი მხარის მიერ ფინანსური ინსტრუმენტის ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს მეორე მხარის მიერ ფინანსური დანაკარგების მიღებას. საკრედიტო რისკი წარმოიშობა ფული და ფულის ეკვივალენტებიდან, დებიტორული დავალიანებიდან, მიმდინარე ფინანსური აქტივებიდან და სხვა მიმდინარე აქტივებიდან. კომპანიის ფული და ფულის ეკვივალენტები შეადგენს 3,073,605 ლარს (2023 წელი: 2,964,720 ლარი), დებიტორული დავალიანება არის 63,492 ლარი (2023 წელი: 74,661 ლარი), მიმდინარე ფინანსური აქტივები არის 1,403,400 ლარი (2023 წელი: 1,344,586 ლარი), ხოლო სხვა მიმდინარე აქტივები 22,685 ლარი (2023 წელი: ნული ლარი) შესაბამისად, მაქსიმალური საკრედიტო რისკი კომპანიისთვის საანგარიშგებო თარიღისათვის არის 4,563,182 ლარი (2023 წელი: 4,383,967 ლარი).

15 ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან და ნაშთები

საქმიანობის ნორმალურ პირობებში კომპანია ტრანზაქციებს ახორციელებს ურთიერთდაკავშირებულ მხარეებთან. დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებულ ტრანზაქციებთან და ნაშთებთან დაკავშირებული დეტალები ქვემოთ მოცემულ ცხრილებშია წარმოდგენილი:

ტრანზაქციები და ნაშთები	სხვა			მიმდინარე ფინანსური აქტივები
	ხელფასის ხარჯი	არასაოპერაციო შემოსავალი	სხვა საოპერაციო ხარჯები	
2024				
ძირითადი მენეჯმენტი	447,232	-	12,972	-
აქციონერები	-	203,934	3,485	1,403,400
სულ	447,232	203,934	16,457	1,403,400
ტრანზაქციები და ნაშთები	სხვა			მიმდინარე ფინანსური აქტივები
	ხელფასის ხარჯი	არასაოპერაციო შემოსავალი	სხვა საოპერაციო ხარჯები	
2023				
ძირითადი მენეჯმენტი	401,282	-	16,777	-
აქციონერები	-	114,136	3,440	1,344,586
სულ	401,282	114,136	20,217	1,344,586

16 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ რაიმე მნიშვნელოვან მოვლენას ადგილი არ ჰქონია.

გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია
თბილისში

მმართველობის ანგარიშგება

2024 წელი

სარჩევი

ისტორია	3
მისია	5
ძირითადი მიდგომები	5
სამოქმედო გეგმა	6
განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) სამოქმედო გეგმა და მისი განხორციელების გრაფიკი	9
ბრენდი და რეპუტაცია	12
რისკები და ფინანსური მაჩვენებლები	18

ისტორია

გივი ზალდასტანიშვილის ამერიკული აკადემია თბილისში 2001 წელს დაარსდა. მის სათავეებთან იდგნენ გივი ზალდასტანიშვილი, ქართველი ბიზნესმენი, რომელმაც თავისი ცხოვრების უდიდესი ნაწილი ამერიკის შეერთებულ შტატებში გაატარა და დონალდ თომასი, ამერიკელი პედაგოგი, რომელსაც ბოსტონის (მასაჩუსეტსი) საჯარო და კერძო სკოლებში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს.

სკოლა, რომლის შესაქმნელადაც აშშ სახელმწიფო დეპარტამენტმა 2 მლნ აშშ დოლარის ოდენობის გრანტი გამოყო, ჩაფიქრებული იყო როგორც საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელსაც სამოძღვრო სკოლის როლი უნდა შეესრულებინა საქართველოს განათლების სისტემის რეფორმირების პროცესში, რომელიც საბჭოთადროინდელი გეგმიური ეკონომიკიდან დემოკრატიულ, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის კონტექსტში ხორციელდებოდა. განათლებისთვის ეს ნიშნავდა სწავლების ხისტი, რუტინული მეთოდების ჩანაცვლებას კრიტიკულ ანალიზსა და შემოქმედებით აზროვნებაზე ორიენტირებული ინტერაქტიური სწავლების მეთოდებით.

ამ მიზნით სკოლის დამფუძნებელ მასწავლებელთა ჯგუფი მივლინებულ იქნა აშშ-ში. აქ მათ სამაგისტრო პროგრამები გაიარეს ჰარვარდის უნივერსიტეტსა და სიმონსის კოლეჯში და საქართველოში დაბრუნების შემდეგ სკოლის მთავარ დასაყრდენად იქცნენ. აკადემიის მასწავლებლები სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიას არა მარტო საკუთარ კლასებში იყენებენ, არამედ სხვადასხვა სახის პროფესიული განათლების კუთხით საქართველოს სხვა მასწავლებლებსაც უზიარებენ.

აკადემიის კურსდამთავრებულები წარმატებით აგრძელებენ სწავლას როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთაც - მსოფლიოს ისეთ წამყვან უნივერსიტეტებში, როგორიცაა ჰარვარდი, ვესტ პოინტი, მიდლბერი, ულიამსი, ვორჩესტერის პოლიტექნიკური ინსტიტუტი, ბარდი, ბოკონის ბიზნეს სკოლა, სენტ-ენდრიუსი და მრავალი სხვა.

აკადემიაში საგანგებო ყურადღება ექცევა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის შესწავლასა და მისადმი სიყვარულითა და პატივისცემით გამსჭვალული ადამიანების აღზრდას. ეს მიდგომა ისტორიის სამწლიანი და ქართული ენისა და ლიტერატურის ოთხწლიანი პროგრამების ქვაკუთხედს წარმოადგენს. ფორმალური აკადემიური პროგრამის პარალელურად, აკადემიაში რეგულარულად ტარდება მოწვეული სტუმრების ლექციები საქართველოს წარსულსა და თანამედროვეობასთან დაკავშირებულ აქტუალურ საკითხებზე. არსებობის მანძილზე აკადემიამ უდაოდ დაიმკვიდრა უმაღლესი კლასის სკოლის სახელი, რასაც მისი მოსწავლეები აკადემიის კედლებში ბეჯითი სწავლით, კურსდამთავრებულები კი, მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში მიღწეული წარმატებებით განამტკიცებენ.

დამფუძნებლები

ზალდასტანიშვილების ოჯახმა საქართველო საბჭოთა რეპრესიული რეჟიმის მხრიდან დევნის გამო დატოვა. გივი ზალდასტანიშვილმა საშუალო, შემდეგ კი, საუნივერსიტეტო განათლება პარიზში მიიღო. ნაცისტების მიერ საფრანგეთის ოკუპაციის შემდეგ ოჯახი ამერიკის შეერთებულ შტატებში გადავიდა საცხოვრებლად, სადაც ბატონმა გივიმ ჰარვარდის უნივერსიტეტის ბიზნეს სკოლაში გააგრძელა სწავლა. შემდეგ კი, აქტიურ ბიზნეს მოღვაწეობას მიჰყო ხელი.

დონალდ თომასმა პედაგოგიური კარიერა ფილიპსის ექსპეტერის აკადემიაში დაიწყო. გარკვეული დრო მან ნიგერიაში დაჰყო, სადაც თავისივე დაარსებულ სკოლას ხელმძღვანელობდა. აშშ-ში დაბრუნების შემდეგ მან გაიარა სადოქტორო პროგრამა ჰარვარდის უნივერსიტეტში. სადოქტორო პროგრამის პარალელურად იგი კონსულტაციას უწევდა ბრუკლინის სკოლას ინგლისური ენისა და ლიტერატურის სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში; სადოქტორო პროგრამის დასრულების შემდეგ ბნ-მა დონალდმა გააგრძელა თანამშრომლობა ბრუკლინის სკოლასთან, თავდაპირველად ინგლისური ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის, შემდეგ კი, ინგლისური ენისა და ლიტერატურის დეპარტამენტის ხელმძღვანელის რანგში. აქ მან 25 წელი დაჰყო. ბოსტონის აკადემიაში ხანმოკლე მუშაობის შემდეგ ბატონმა დონალდმა დააარსა ახალი ჩარტერული სკოლა ბოსტონში (City on a Hill Charter School).

ამერიკული აკადემიის დაფუძნებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ქართველ ბიზნესმენთა ჯგუფმა ბატონების გიორგი ბაზაძისა და მამუკა ხაზარაძის თაოსნობით, რომლებიც აკადემიის დამფუძნებელი პარტნიორები გახდნენ გივი ზალდასტანიშვილთან ერთად. წლების განმავლობაში აკადემიას გვერდით ედგნენ და მხარს უჭერდნენ: აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის განათლებისა და კულტურის საქმეთა ბიურო, აშშ საელჩო საქართველოში, ქართული სათვისტომო ამერიკაში, ჰარვარდის უნივერსიტეტი, სიმონსის კოლეჯი, ფილიპს ექსპეტერის აკადემია, ქართველი ბიზნესმენები და კომპანიები.

ფინანსური მხარდაჭერა

1998 წელს, სკოლის დაფინანსებისთვის თანხების მოზიდვის რამდენიმე უშედეგო მცდელობის შემდეგ, გივი ზალდასტანიშვილმა და დონალდ თომასმა დახმარებისთვის აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის კულტურული და საგანმანათლებლო საკითხების ბიუროს მიმართეს. აქ მათ შეიტყვეს, რომ ბიურო არ აფინანსებდა სკოლების დაარსებას, მაგრამ ახორცილებდა სტუდენტთა გაცვლით პროგრამებს. სწორედ სახელმწიფო დეპარტამენტის დაფინანსებით მოხერხდა ხუთი ქართველი მასწავლებლის გაგზავნა ამერიკის შეერთებულ შტატებში სამაგისტრო პროგრამების გასავლელად. პარალელურად, ქართული ბიზნესის დახმარებით, მომზადდა მომავალი სკოლის ინფრასტრუქტურა. 2001 წლის 25 იანვარს სკოლა დაფუძნდა იურიდიულად. იმავე წლის სექტემბერში კი ამერიკულმა აკადემიამ პირველი მოსწავლეები მიიღო.

მისია

აკადემიის მისიაა აღზარდოს მცოდნე, სხვათა მიმართ თანაგრძნობით გამსჭვალული ადამიანები, რომელთაც უყვართ სამშობლო და ამავე დროს მსოფლიოს პასუხისმგებელი მოქალაქენი არიან; ადამიანები, რომელთაც სჯერათ, რომ ეროვნული, თუ ის ჭეშმარიტად ღირებულია, მსოფლიოსთვისაც ღირებული უნდა იყოს.

აკადემიის კურსდამთავრებულები უწყვეტ სწავლასა და განვითარებაზე ორიენტირებული ადამიანები არიან; ისინი საუკეთესოდ არიან მომზადებული როგორც უმაღლეს სასწავლებლებში სწავლისთვის, ისე შემდგომი წარმატებული ცხოვრებისა და პროფესიული მოღვაწეობისთვის.

- ჩვენ გვჯერა, რომ სასწავლო პროცესი ინტერაქტიური, მოსწავლეზე ორიენტირებული უნდა იყოს და მის მიზანს კრიტიკული აზროვნების, პრობლემათა გადაჭრისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარების განვითარება უნდა წარმოადგენდეს.
- ჩვენ გვჯერა, რომ სკოლამ უნდა აღზარდოს ჯანსაღი ღირებულებების მატარებელი, გონიერი, მრავალმხრივ განვითარებული ადამიანები, რომელთათვისაც განათლება საკუთარი თავის შეცნობის, სამყაროს შეცნობისა და მისი გაუმჯობესების საშუალებაა.
- ჩვენ გვჯერა, რომ ქართული კულტურის ცოდნა და დაფასება ჩვენი პროგრამისა და სკოლის ეთოსის ქვაკუთხედს წარმოადგენს.
- ჩვენ გვჯერა, რომ მასწავლებელი და მთლიანად სასკოლო საზოგადოება, როგორც ერთიანი სასწავლო გარემო, უდიდესი მნიშვნელობის მქონე ფაქტორებია.
- ჩვენ გვჯერა, რომ სკოლის მისიის განხორციელება საუკეთესო რესურსების მობილიზებას მოითხოვს (უმაღლესი დონის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, უახლესი ტექნოლოგიების, საგანმანათლებლო ხასიათის კვლევებისა და სხვ.)

ძირითადი მიდგომები

აკადემიის ფუძემდებლურ პრინციპს წარმოადგენდა და წარმოადგენს რწმენა, რომ სკოლის ხარისხი უპირველესად იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად კვალიფიციურნი არიან მისი მასწავლებლები. ამიტომაც, აკადემიამ იმთავითვე, ძირითადი ყურადღება სწორედ მასწავლებლთა მომზადებაზე გადაიტანა. ყოველ წელს აკადემია მასწავლებლების ახალ ჯგუფს ამზადებდა, რაც ითვალისწინებდა სტაჟირებას ფილიპსის ექსპერტის აკადემიის საზაფხულო სკოლაში და ერთწლიანი სამაგისტრო პროგრამის გავლას სიმონსის კოლეჯში ან ჰარვარდის უნივერსიტეტში. საქართველოში დაბრუნების შემდეგ მასწავლებელთა ეს ჯგუფი პასუხისმგებლობას იღებდა შესაბამის საგნებში შემდეგი წლის კურიკულუმის შემუშავებაზე.

აკადემიამ თავიდანვე აირჩია სწავლების ე.წ. ჰარკნესის გეგმა, რომელიც პირველად ფილიპსის ექსპერტის აკადემიაში დაინერგა. ყოველ საკლასო ოთახში განთავსებულია ოვალური ფორმის ჰარკნესის მაგიდა, რომელსაც თოთხმეტი მოსწავლე და მასწავლებელი უსხედან. საბჭოთა დროიდან შემორჩენილი მეთოდებისგან განსხვავებით, ჰარკნესის გეგმა ეფუძნება ინტერაქტიური სწავლების მეთოდოლოგიას, რომელიც ორიენტირებულია ისეთი მნიშვნელოვანი უნარების გამომუშავებაზე,

როგორცაა მასალის კრიტიკული ანალიზი, საკითხის არსის სიღრმისეული წვდომა და კონსტრუქციული დისკუსია.

ჰარკნესის გეგმის გარდა, აკადემია ფართოდ იყენებს მთელ რიგ ინოვაციურ მიდგომებს, რომლებიც რამდენადმე უცხოა ტრადიციული განათლების სისტემისთვის, კერძოდ, მასწავლებლებისა და სკოლის სხვა თანამშრომლების აქტიურ მონაწილეობას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, მოსწავლეთა ცოდნის შეფასების სპეციალურ, უნარ-ჩვევებზე ორიენტირებულ სისტემას, ტექნოლოგიის საყოველთაო და ყოვლისმომცველ გამოყენებას, საუკეთესოდ აღჭურვილ ლაბორატორიებს, ინტერდისციპლინარულ კურსს მე-12 კლასელებისთვის, არჩევით კურსებს, საუნივერსიტეტო ორიენტაციის პროგრამას და სხვ.

სამოქმედო გეგმა

სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზი

ძლიერი მხარეები:

1. აკადემიაში ხანგრძლივი დროის მანძილზე მომუშავე კვალიფიკაციური, მცოდნე მასწავლებლები მყარ საფუძველს უქმნიან სკოლის უწყვეტ და სტაბილურ განვითარებას.
2. მასწავლებლების მიერ სრულად გაზიარებული მეთოდოლოგია, რომელიც, ზოგადად, ინტერაქტიური სწავლების პრინციპებსა და კონკრეტულად, „ჰარკნესის მაგიდის“ მეთოდებს ემყარება და სასწავლო პროცესის მაღალ დონეზე განხორციელების შესაძლებლობას იძლევა.
3. სკოლის ძლიერი სასწავლო პროგრამა მოსწავლეებს მაღალ აკადემიურ მოთხოვნებს უყენებს. ამასთან, სკოლა მუდმივად ზრუნავს სასწავლო პროგრამის გაფართოებასა და გაღრმავებაზე. მე-8 და მე-9 კლასებში წარმატებით დაინერგა გერმანულის ენის კურსი. დაინერგა ახალი არჩევითი საგნებისა და ძირითადი საგნების შიგნით პარალელური კურსების კურიკულუმების შემუშავება. მოსწავლეებს ახლა აქვთ არჩევანი თავად შეადგინონ კურსების ის ერთობლიობა, რომელსაც სავალდებულო საგნებთან ერთად ისწავლიან. მე-9 და მე-10 კლასებში არჩევითი უცხო ენა- გერმანული ან რუსული. მე-11 და მე-12 კლასებში არჩევითი საგნები მოიცავს საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული მეცნიერების ფართო სპექტრს. სკოლას მაღალი მოლოდინები აქვს მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებასა და დისციპლინასთან დაკავშირებით.
4. სკოლის მყარი ფინანსური მდგომარეობა კლასებში მოსწავლეთა რიცხოზობის შემცირების საშუალებას იძლევა, რაც ხარისხიანი სასწავლო პროცესის მნიშვნელოვანი პირობაა. შედეგად სკოლამ უზრუნველყო კლასებში მოსწავლეთა რაოდენობის შემცირება საშუალოდ 14-დან 12 მოსწავლემდე. მოსწავლეთა რაოდენობის შემცირებით გამოწვეული ფინანსური შედეგი კომპენსირდება სწავლის საფასურის გაზრდის ხარჯზე.
5. სკოლა დიდ ყურადღებას უთმობს საკუთარ მასწავლებელთა პროფესიულ ზრდასა და განვითარებას. პარალელურად, სკოლა მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამს სკოლის გამოცდილების დამწყები მასწავლებლებისთვის გაზიარების მიმართულებით. სწორედ ამ მიზანს ემსახურება ერთწლიან პედაგოგიურ პრაქტიკუმის პროგრამა, რომელშიც ყოველწლიურად თბილისსა და რეგიონების 4-5 ახალგაზრდა პედაგოგი მონაწილეობს.

6. სკოლა წარმატებით ახორციელებს საზოგადოებრივ პროგრამებს, კერძოდ სამოქალაქო განათლების პროგრამას, რომელიც სამ კოპონენტს მოიცავს:
დემოკრატიული სწავლებისა და მართვის გამოცდილების გაზიარება; ჰარკნესის დისკუსიაზე დაფუძნებული მეთოდის გაცნობა საჯარო სკოლის მასწავლებლებისთვის; მოსწავლეთა თვითმართველობათა ქსელის შექმნა.
7. სკოლას მაღალი მოლოდინები აქვს მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებასა და დისციპლინასთან დაკავშირებით.
8. კურსდამთავრებულთა უნივერსიტეტებში ჩარიცხვის მონაცემებით სკოლა უდავოდ ლიდერობს საქართველოში.
9. სკოლის ახალი მოსწავლეები მაღალი აკადემიური მომზადებით გამოირჩევიან.
10. სკოლის ფინანსური მდგომარეობა და ბიუჯეტის დაგეგმვის, ხარჯვისა და განვითარების პრინციპები მყარი და სტაბილურია.

სუსტი მხარეები

1. მნიშვნელოვანი გაუმჯობესებების მიუხედავად, ჯერ კიდევ არის ნაკლოვანებები საგნობრივ დეპარტამენტებს შორის კომუნიკაციისა და გამოცდილების გაზიარების კუთხით.
2. სკოლა ბევრს აკეთებს მასწავლებლებისა და სხვა თანამშრომლების პროფესიული განვითარების თვალსაზრისით, მაგრამ არის ცალკეული ხარვეზები, რომელთა აღმოფხვრაც უფრო მეტ ძალისხმევას მოითხოვს.
3. არჩევითი საგნების პროგრამის გაფართოება და ძირითადი საგნების შიგნით პარალელური კურსების შეთავაზება მეტი საკლასო სივრცის საჭიროებას წარმოშობს.
4. მიუხედავად იმისა, რომ გასული წლის მანძილზე მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მასწავლებლებისა და სხვა თანამშრომლების მიერ ძირითადი სასკოლო ფუნქციების შესრულება, ცალკეულ შემთხვევებში მაინც განვიცდით სისტემატურობის ნაკლებობას.
5. სკოლის ფიზიკური აღზრდის პროგრამას დინამიზმი აკლია. აუცილებელია უფრო მეტად დავაინტერესოთ მოსწავლეები სპორტით; აქტიურად ჩავეხატოთ სპორტულ ტურნირებსა და შეჯიბრებებში ქვეყნის მასშტაბით.
6. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი კლასგარეშე პროგრამა საინტერესო და მრავალფეროვანია, ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს სამუშაო.

ძლიერ მხარეების გამოყენება შემდგომი განვითარებისთვის:

1. სკოლა კვლავაც გააგრძელებს ზრუნვას მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე მის განკარგულებაში მყოფი ყველა საშუალებითა და მექანიზმით (მასწავლებელთა მეთვალყურეობისა და შეფასების სისტემა, პროფესიული განვითარების საერთო სასკოლო და ინდივიდუალური პროექტები; მონაწილეობა კონფერენციებში, სემინარებში და სხვ.).

2. გამოცდილი მასწავლებლები კვლავაც გაუწევენ მენტორობას სკოლის ახალ მასწავლებლებს; იგეგმება პედაგოგიური პრაქტიკუმის პროგრამის გაფართოება.
3. საზოგადოებრივი პროგრამების განხორციელების კუთხით დაგროვილ გამოცდილებაზე დაყრდნობით, აკადემია გააღრმავებს მიმდინარე პროგრამებზე მუშაობას და შეიმუშავებს ახალ პროგრამებს.
4. სკოლის ძლიერი სასწავლო პროგრამა და მოსწავლეებისადმი წაყენებული მაღალი აკადემიური მოთხოვნები სკოლის წარმატების ერთ-ერთი უმნიშველოვანესი პირობაა. სკოლა კვლავაც გამოიყენებს ამ ბერკეტს სკოლის მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად. ამჟამად სკოლა აქტიურად მუშაობს სასწავლო პროგრამის გაფართოებასა და გამრავალფეროვნებაზე და ეტაპობრივად ამცირებს მოსწავლეთა რაოდენობას კლასებში. მთლიანობაში, ორი წლის მანძილზე მოსწავლეთა რაოდენობა მე-8 კლასში 18-მდე, მე -9-12 კლასებში კი 12-მდე შემცირდება.
5. სასკოლო გარემო და სასწავლო პროცესის მაღალი დონე ძლიერ მოტივაციას უქმნის აკადემიის მოსწავლეებს კარგი სწავლისა და ყოფაქცევითვის. აკადემიური მოსწრებისა და დისციპლინის მაღალ დონეზე შენარჩუნება საშუალებას აძლევს ჩვენს მოსწავლეებს მიიღონ ის ცოდნა და უნარ-ჩვევები, რაც აბსოლუტურად აუცილებელია მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში სწავლის წარმატებით გასაგრძელებლად.
6. სკოლის წარმატების ერთ-ერთი უმთავრესი საზომი ჩვენი კურსდამთავრებულების უნივერსიტეტებში ჩარიცხვის სტატისტიკაა. ამ მაჩვენებლების განუხრელად მაღალ დონეზე შენარჩუნება განამტკიცებს სკოლის რეპუტაციას და საშუალებას გვაძლევს მოვიზიდოთ ნიჭიერი და მოტივირებული მოსწავლეები.
7. ახალი მოსწავლეების მაღალი აკადემიური მომზადება საშუალებას გვაძლევს წარმატებით განვახორციელოთ სასწავლო პროგრამა და ვიზრუნოთ მის შემდგომ გაფართოებასა და განვითარებაზე.
8. მტკიცე ფინანსური ბაზა საშუალებას აძლევს სკოლას შეუფერხებლად გააგრძელოს ფუნქციონირება და მოახდინოს საჭირო რესურსების მობილიზება სწავლების ხარისხის გაზრდის, აკადემიური პროგრამის გაფართოებისა და ახალი პროექტების განსახორციელებლად სკოლაში და სკოლის გარეთ.

სისუსტეების დაძლევის ღონისძიებები

1. გასული წელი სკოლამ გამოიყენა იმისთვის, რომ მაქსიმალურად გააქტიურებულიყო კომუნიკაცია დეპარტამენტების შიგნით. ეს სამუშაო წელსაც წარმატებით გრძელდება. ამ მხრივ დაგროვილი ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე შემუშავდა პროგრამა რომელიც უზრუნველყოფს დეპარტამენტებს შორის უფრო მჭიდრო თანამშრომლობასა და ურთიერთქმედებას.
2. ვაგრძელებთ მუშაობას სკოლაში არსებული პროფესიული განვითარების ფონდის რესურსების გამოყენების ეფექტიანობის გაზრდის მიმართულებით.

3. განვლილი პერიოდის გამოცდილებაზე დაყრდნობით გავაგრძელებთ მუშაობას საქართველოს საგანმანათლებლო სისტემის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებების შემუშავებისა და განხორციელების მიმართულებით (პედაგოგიური ტრენინგები/სემინარები, მენტორობა, ონლაინ სწავლება, სკოლათაშორისი თანამშრომლობა, მოზრდილთა განათლება და სხვ.)
4. სააქტო დარბაზის მშენებლობის დასრულებამ საშუალება მოგვცა სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების შემდგომ პროექტებზე დავიწყოთ მუშაობა. მუშავდება კაფეტერიის- სტუდენტური ცენტრის ახალი შენობისა და კაფეტერიის ამჟამინდელი სივრცის საკლასო სივრცედ გარდაქმნის პროექტი.
5. აკადემია თავის ყოველდღიურ საქმიანობაში ეყრდნობა სასკოლო ფუნქციების განხორციელებასთან დაკავშირებულ პროცედურათა საგანგებო სისტემას. სკოლაში მოქმედებს მასწავლებელთა შორის ინფორმაციის გაცვლისა და კომუნიკაციის, დასწრების აღრიცხვის, მშობლებთან კომუნიკაციის, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების დოკუმენტებისა და მშობელთათვის მოსწავლეთა აკადემიური სტატუსის მეოთხედური, სემესტრული და მიმდინარე ანგარიშების მიწოდების ელექტრონული პლატფორმა ALMA, რაც ამ სფეროში დარჩენილი ყველა ხარვეზის საბოლოოდ აღმოფხვრის საშუალებას გვაძლევს.
6. აკადემიის სპორტული პროგრამის გაძლიერების მიზნით მუშავდება კონკრეტული გეგმა, რომელიც ორ ძირითადი მიმართულებას მოიცავს: არსებული პროგრამის გამრავალფეროვნებას და სკოლათაშორისი შეჯიბრებებში აქტიურ მონაწილეობას. ამ მიზნით ვგეგმავთ სკოლის ტერიტორიაზე ახალი სპორტული მოედნის მოწყობას და თბილისისა და რეგიონების სკოლებთან უფრო მჭიდრო კომუნიკაციის დამყარებას. მოსწავლეების ინიციატივით შეიქმნა სპორტული კომიტეტი, რომელიც მიზნად ისახავს სპორტის რიგი სახეობების პოპულარიზაციას სკოლის მოსწავლეთა შორის, აგრეთვე, სასკოლო და სკოლათაშორისი შეჯიბრებების ორგანიზებასა და ჩატარებას.
7. კლასგარეშე აქტივობების პროგრამის გაძლიერების მიზნით ვგეგმავთ საკუთარი რესურსების უფრო ეფექტიანი გამოყენების პარალელურად აქტიურად მოვიზიდოთ სკოლისგარე რესურსები.

განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) სამოქმედო გეგმა და მისი განხორციელების გრაფიკი

წელი	საოპერაციო აქტივობები	აკადემიური ნაწილი	საგანმანათლებლო/ პროფესიული განვითარების/თანამშრომლობის პროგრამები
2024-2025	სასწავლო პროგრამის გაფართოებით გამოწვეულ დამატებით სასწავლო სივრცის მოწყობასთან დაკავშირებული სამუშაოების განხორციელება. - კაფეტერიის შენობის პროექტირება.	სასწავლო პროგრამის გაფართოება: გერმანული ენის კურსის დამატება მე-8 და მე-9 კლასში.	საზოგადოებრივი პროგრამების შემუშავება და განხორციელება: ა) მასწავლებლების მომზადების პროგრამა. 2024 წელს პროგრამის ფარგლებში 3 მასწავლებლის გადამზადება მიმდინარეობს. (2022-2023 სასწავლო წლის განმავლობაში პროგრამაში ხუთმა დამწყებმა მასწავლებელმა მიიღო

გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში

მმართველობის ანგარიშგება

31 დეკემბერი 2024 წელი

	- გამოთავისუფლებული სივრცის სასწავლო სივრცედ გადაკეთების პროექტზე მუშაობა. ჩასატარებელ სამუშაოებთან დაკავშირებული დოკუმენტაციის მოზადება, შესაბამისი ნებართვების მიღება. ახალი სპორტული მოედნის მოწყობასთან დაკავშირებული მოსამზადებელი სამუშაოები.	მე-12 კლასში მათემატიკის 4 პარალელური პროგრამის დანერგვა. არჩევითი კურსების პროგრამის მოდიფიცირება. სპორტული პროგრამის ფარგლებში სკოლათაშორის შეჯიბრებებში მონაწილეობა. შაბათის აკადემიისა და საზაფხულო სკოლის პროგრამების გაფართოება. კლასგარეშე აქტივობათა პროგრამის გაფართოება.	მონაწილეობა. 2023-2024 წლის განმავლობაში პროგრამაში სამი დამწყები მასწავლებელი მონაწილეობდა). ბ) დემოკრატიული სწავლებისა და მართვის გამოცდილების გაზიარება. - ჰარკნესის დისკუსიაზე დაფუძნებული მეთოდის გაცნობა. საჯარო სკოლის მასწავლებლები მონაწილეობას იღებენ ამერიკულ აკადემიაში გამართულ ვორკშოპებში. - მოსწავლეთა თვითმართველობათა ქსელის შექმნა. (ამერიკული აკადემია ხელმძღვანელობს საქართველოს საჯარო სკოლების მოსწავლეების თვითმართველობების ქსელის ჩამოყალიბების პროცესს.) გ) ქუთაისის იოსებ ოცხელის სახელობის სკოლასთან თანამშრომლობა. ჩატარდა რადენიმე შეხვედრა სკოლის მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის. იგეგმება ერთობლივი საზაფხულო პროგრამის განხორციელება.
--	--	---	--

გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში

მმართველობის ანგარიშგება

31 დეკემბერი 2024 წელი

2025-2026	ახალი სპორტული მოედნის მოწყობასთან დაკავშირებული სამშენებლო სამუშაოები.	გრძელდება პროგრამების განხორციელება. ტარდება შემდგომი განვითარების პერსპექტივების კვლევა.	საზოგადოებრივი პროგრამების შემუშავება და განხორციელება: ა) მასწავლებლების მომზადების პროგრამა. მეოთხე ეტაპი. ბ) სამოქალაქო განათლების პროგრამა - დემოკრატიული სწავლებისა და მართვის გამოცდილების გაზიარება. - ჰარვარდის დისკუსიაზე დაფუძნებული მეთოდის გაცნობა. - მოსწავლეთა თვითმართველობათა ქსელის შექმნა. ქუთაისის იოსებ ოცხელის სახელობის სკოლასთან თანამშრომლობა. სასწავლო წლის განმავლობაში გაგრძელდება მოსწავლეთა ერთობლივ პროექტებზე მუშაობა. ჩატარდება ერთობლივი ტრენინგები/სემინარები/კონფერენციები ორივე სკოლის მასწავლებელთა მონაწილეობით.
2026-2027	სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი გაფართოებისა და განვითარების პროგრამების დამუშავება.	გრძელდება პროგრამების განხორციელება. კვლევის საფუძველზე შემუშავდება შემდგომი განვითარების გეგმები.	სკოლათაშორისი თანამშრომლობის ქსელის გაფართოების პროექტის შემუშავება და პროექტში მონაწილე პოტენციური პარტნიორების იდენტიფიცირება.
2027-2028	სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი გაფართოებისა და განვითარების პროგრამების განხორციელება.	გრძელდება პროგრამების განხორციელება. მიმდინარეობს ახალი პროგრამების შემუშავება.	სკოლათაშორისი თანამშრომლობის ქსელის გაფართოების პროექტის განხორციელება. პირველი ეტაპი.
2028-2029	გრძელდება სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი გაფართოებისა და განვითარების პროგრამების განხორციელება.	გრძელდება პროგრამების განხორციელება. იწყება ახალი პროგრამების დანერგვა.	სკოლათაშორისი თანამშრომლობის ქსელის გაფართოების პროექტის განხორციელება. მეორე ეტაპი.

გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში
მმართველობის ანგარიშგება
31 დეკემბერი 2024 წელი

2029-2030	გრძელდება სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი გაფართოებისა და განვითარების პროგრამების განხორციელება.	გრძელდება პროგრამების განხორციელება. იწყება ახალი პროგრამების დანერგვა.	სკოლათაშორისი თანამშრომლობის ქსელის გაფართოების პროექტის განხორციელება. მეორე ეტაპი.
-----------	--	---	--

ბრენდი და რეპუტაცია

ბრენდის სიძლიერისა და რეპუტაციის დასადგენად ისეთ კრიტერიუმებს გამოვიყენებთ, რომლებიც კარგი სკოლის მახასიათებლებს განსაზღვრავს:

- უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია ის ნდობა, რომელიც 2010 წელს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ოქროს მედლის სახით მოგვანიჭა და საუკეთესო კერძო სკოლად გვადიარა; ხოლო 2011 წელს კი, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა სკოლას აკრედიტაცია მიანიჭა, რაც იმ დროისთვის ერთადერთი შემთხვევა იყო საქართველოში. აკრედიტაციის მიღების შედეგად ამერიკული აკადემიის მოსწავლეები გათავისუფლდნენ სავალდებულო საატესტატო გამოცდების ჩაბარებისგან. ავტორიზაცია/აკრედიტაციის განახლების პროცესი ამერიკულმა აკადემიამ 2022 წლის მაისში წარმატებით გაიარა. სკოლის მასწავლებლების 95% მაგისტრისა და დოქტორის ხარისხის მფლობელია. 10:1 მოსწავლე-მასწავლებლის შეფარდება.

სკოლას ჰყავს 1000 -ზე მეტი კურსდამთავრებული. 2024 წელს სკოლას ჰყავდა 2 ოქროსა და 7 ვერცხლის მედალოსანი. (2023 წელს 7 ოქროსა და 4 ვერცხლის მედალოსანი).

საანგაროში წელს შეიქმნა ამერიკული აკადემიის, როგორც ბრენდის ვერბალური ბრენდირება. სკოლის მიზნების, მისიასა და ხედვაზე დაყრდნობით შეიქმნა საკომუნიკაციო სტრატეგია, რომელიც გულისხმობს მიზნობრივი ჯგუფებისთვის და დაინტერესებული მხარეებისთვის, პრიორიტეტების გათვალისწინებით, ინფორმაციის თანმიმდევრულად და უწყვეტად მიწოდებას, საკომუნიკაციო მიზნებზე მორგებული აქტივობებით და ინიციატივებით ჩართულობის და ინტერესის გაზრდას.

სოციალურ ქსელებისთვის შექმნილი ახლებური რუბრიკები ამერიკული აკადემიის რეპუტაციის, იმიჯის გაძლიერებას უწყობს ხელს. ზოგიერთი მათგანი, მაგალითად, ყოველკვირეული რუბრიკა “გირჩევთ” (რომელიც მოსწავლის ან მასწავლებლის საყვარელი წიგნის აუდიტორიისთვის წარდგენას გულისხმობს), მისაბამი გახდა სხვა სკოლებისთვისაც.

სხვადასხვა აქტივობებისთვის, 4 თვის მანძილზე, შეიქმნა და სოციალურ ქსელებში განთავსდა 40 მდე ვიდეო. ამასთან, მოკლე პერიოდში გამომწერთა რიცხვი ბუნებრივად გაიზარდა 3,000 გამომწერით (14%), (ამჟამად ჰყავს 28,000 გამომწერზე მეტი).

- შემდეგი კრიტერიუმი ამერიკულ აკადემიაში ჩარიცხვის მსურველთა მზარდი რაოდენობაა. ყოველწლიურად ამერიკულ აკადემიაში საშუალოდ 150-200 მოსწავლე გამოხატავს ინტერესს და მისაღებ კონკურსში იღებს მონაწილეობას.

2024-2025 სწ მისაღებ გამოცდებზე დარეგისტრირდა 197 მოსწავლე. სულ ჩაირიცხა 81 ახალი მოსწავლე, აქედან მერვე კლასში 72, ხოლო მეცხრე, მეათე და მეთერთმეტე კლასებში 5, 3 და 1 მოსწავლე შესაბამისად.


გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში

მმართველობის ანგარიშგება

31 დეკემბერი 2024 წელი

ვფიქრობთ, საყურადღებოა ისეთი მნიშვნელოვანი ინფორმაცია, როგორცაა ამერიკულ აკადემიაში გადმოსვლის მსურველი და ჩარიცხული მოსწავლეების ყოფილი სკოლების სტატისტიკა. ეს მონაცემები ასევე ამყარებს ამერიკული აკადემიის ბრენდის სიძლიერესა და რეპუტაციას, რადგან მსურველთა უმეტესი ნაწილი საქართველოს საუკეთესო კერძო და საჯარო სკოლებში სწავლობს. მიუხედავად ამისა, ისინი გარკვეულ ეტაპზე, იღებენ გადაწყვეტილებას სწავლა ამერიკულ აკადემიაში გააგრძელონ. (იხილეთ დიაგრამა 1)

დიაგრამა 1.



საუნივერსიტეტო ორიენტაციის პროგრამა 2023-2024

შემდეგი მნიშვნელოვანი კრიტერიუმი, ამერიკული აკადემიის კურსდამთავრებულთა ჩარიცხვებია როგორც საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში, ისე მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში. ამერიკული აკადემიის კურსდამთავრებულთა 99% უმაღლეს სასწავლებელში აგრძელებს სწავლას, ხოლო მათი 90% სწავლის გასაგრძელებლად საზღვარგარეთ მიემგზავრება, სადაც ყოველ წელს სტიპენდიების სახით 2-3 მილიონ დოლარზე მეტ დაფინანსებას იღებენ. ყოველწლიურად, აკადემიის კურსდამთავრებულები 100-ზე მეტ ევროპისა თუ ამერიკის უნივერსიტეტებში ირიცხებიან, რომელთა შორისაა ჰარვარდის, პრინსტონის, იუპენის, კოლუმბიის, ბრაუნის, კორნელის უნივერსიტეტები, ასევე აშშ-ს საზღვაო და საჰაერო სამხედრო აკადემიები, ლონდონის ეკონომიკის სკოლა, ბაბსონისა და სმიტის კოლეჯები და სხვა.

გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში
მმართველობის ანგარიშგება
31 დეკემბერი 2024 წელი

2024 წლის საუნივერსიტეტო ჩარიცხვები

კურსდამთავრებულთა რაოდენობა	71
მიღება: უნივერსიტეტების რაოდენობა	147 (21 ქვეყანაში)
სწავლა გააგრძელა აშშ-ში	18 %
სწავლა გააგრძელა ევროპაში	64 %
სწავლა გააგრძელა საქართველოში	4 %
1 წელი შეისვენა	14 %
სტიპენდიები და ფინანსური შეღავათები წელიწადში	\$ 1,937,346
რეალურად გამოიყენეს წელიწადში	\$ 293,788

2023-2024 სასწავლო წელს საუნივერსიტეტო მრჩევლებმა მონაწილეობა მიიღეს შემდეგ კონფერენციებში და უნივერსიტეტების ტურებში:

ივლისი 2023	International Association for College Admission Counseling (IACAC), აშშ
ნოემბერი 2023	Council of International Schools (CIS), ირლანდია
ნოემბერი 2023	პრადის უნივერსიტეტების ტური, ჩეხეთი
აპრილი 2024	Rochester Institute of Technology (RIT) ხორვატიის ფილიალის ტური, ხორვატია

2023-2024 სასწავლო წელს აკადემიას ესტუმრნენ შემდეგი უნივერსიტეტების წარმომადგენლები:


უნივერსიტეტი	თარიღი
Hult Business School, UK	25.09.2023
Northeastern University, USA	28.09.2023
Bentley University, USA	04.10.2023
IE University, Spain	05.10.2023
University of Chicago, USA	12.10.2023
NABA, Italy	16.10.2023
SKEMA, France	16.10.2023
University of Tartu, Estonia	17.10.2023
University of Miami, USA	24.10.2023
Bard College, USA	24.10.2023
Istituto Marangoni, Italy	24.10.2023
Lucerne University of Applied Sciences and Arts, Switzerland	26.10.2023
University of British Columbia, Canada	31.10.2023
University of Richmond, USA	02.11.2023
University College London, UK	01.12.2023
IED Istituto Europeo di Design, Spain/Italy	20.02.2024
Amsterdam University, Netherlands	20.02.2024
DAAD Rep Visit, Germany	29.02.2024
TBS - Toulouse Business School, France/Spain	05.03.2024
Charles University, Prague, Czech Republic	07.03.2024
The Stockholm School of Economics in Riga, Latvia	14.03.2024
EUC schools Visit (Tour)	04.04.2024
Bocconi University, Italy	05.04.2024
NYU Abu Dhabi, United Arab Emirates	10.04.2024
Study Care International Education Fair (Tour)	12.04.2024

მომხმარებლები:

ამერიკული აკადემიის მომსახურების მიმღებები საშუალო და მაღალი სოციალურეკონომიკური სტატუსის მქონე ოჯახებია. თუმცა, ამერიკული აკადემია იღებს ვალდებულებას და უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის განათლების მიცემას ნიჭიერი და იმედისმომცემი ბავშვებისთვის, მიუხედავად მათი ფინანსური შესაძლებლობებისა.

აქედან გამომდინარე, ყოველ წელს სკოლა შესაძლებლობას აძლევს ფინანსური პრობლემის მქონე და აკადემიურად წარჩინებულ მოსწავლეებს განსხვავებული სწავლის საფასურით ისარგებლონ. განსხვავებული სწავლის საფასურის ოდენობას სასკოლო კომიტეტი მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან ერთად განსაზღვრავს. იხ. ბოლო ათი წლის მონაცემები. (იხილეთ დიაგრამა 2)

დიაგრამა 2



დასაქმებულები:

2024 წელს დასრულდა სასწავლო პროცესის სრულყოფილად ფუნქციონირებისათვის საჭირო კადრების დაქირავების პროცესი. ახლა სკოლა სრულად დაკომპლექტებულია და ამ მოდელს გააგრძელებს:

- ფაკულტეტი: 53 მასწავლებელი, უმეტესობა სრულ განაკვეთზე.
- სპეციალისტები: 8 (ბიბლიოთეკარები, კოლეჯის მრჩეველები, ტექნიკური მხარდაჭერა, ფსიქოლოგი და ა.შ.)
- ადმინისტრაცია: 12
- სკოლის მოვლა: 17 (დასუფთავება და დაცვა)
- სულ: 90 თანამშრომელი

გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში

მმართველობის ანგარიშგება

31 დეკემბერი 2024 წელი

მასწავლებელთა და ადმინისტრაციის წევრთა უმრავლესობა (95%) ფლობს მაგისტრისა და დოქტორის აკადემიურ ხარისხებს. მასწავლებლების ძირითადმა გუნდმა ჰარვარდის უნივერსიტეტსა და სიმონსის კოლეჯში გაიარა გადამზადება ერთწლიან პროგრამებზე.

2022 წელს საფუძველი ჩაეყარა მასწავლებელთა გადამზადებელ გრძელვადიან პროგრამას. პროგრამის ფარგლებში სკოლაში მასწავლებლების ასისტენტებად მუშაობენ ახალი კადრები. რომელთაგანაც ნაწილი სკოლაში 2024 წელსაც აგრძელებს და მომავალშიც გააგრძელებს მუშაობას.

საზოგადოებრივი პროგრამები

გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში დაარსებიდან ზრუნავს საქართველოს განათლების სისტემაში ჩართული ადამიანებისთვის ცოდნისა და გამოცდილების გავრცელებაზე. ამ მიმართულებით აკადემია რამდენიმე პროგრამას ახორციელებს:

ა) მასწავლებლების მომზადების პროგრამა

ამერიკული აკადემია საშუალებას აძლევს დამწყებ მასწავლებლებს, რომ ერთწლიანი სტაჟირება გაიარონ სკოლის ბაზაზე. მასწავლებლებს საშუალება აქვთ, რომ დაესწრონ გაკვეთილებს, რჩევები მიიღონ სპეციალურად შერჩეული მენტორი მასწავლებლებისგან, თავადაც მიიღონ მონაწილეობა სასკოლო აქტივობების, სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებაში. 2022-2023 სასწავლო წლის განმავლობაში ხუთმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა მასწავლებლის მომზადების პროგრამაში. 2023-2024 წლის განმავლობაში, სამი დამწყები მასწავლებელი იღებს მონაწილეობას ამ პროგრამაში.

ბ) სამოქალაქო განათლების პროგრამა

ამერიკული აკადემია PH International-თან თანამშრომლობით ახორციელებს სამოქალაქო განათლების პროგრამის კომპონენტს, რომლის მიზანიც არის საქართველოს ზოგად განათლების სისტემაში სამოქალაქო განათლების გაძლიერებაზე. ამ პროგრამის ფარგლებში ამერიკული აკადემია ახორციელებს შემდეგ აქტივობებს:

1. დემოკრატიული სწავლებისა და მართვის გამოცდილების გაზიარება. ამ მიმართულებით ამერიკული აკადემია საშუალებას აძლევს საქართველოს სკოლებს, რომ ესტუმრონ სკოლას, გაეცნონ სწავლებისა და მართვის დემოკრატიულ მეთოდებს. საჯარო სკოლის მოსწავლეები, მასწავლებლები და ადმინისტრაციის წევრები ეცნობიან სკოლის ფილოსოფიას, სასწავლო გეგმას, სწავლების პრინციპებსა და მოსწავლეთა თვითმართველობის მუშაობის მიმდინარეობას. 2023-2024 სასწავლო წლის განმავლობაში 5 ასეთი ვიზიტი ჩატარდა. 2024-2025 სასწავლო წელს ჩატარდა 9 ვიზიტი.
2. ჰარვარდის დისკუსიაზე დაფუძნებული მეთოდის გაცნობა. საჯარო სკოლის მასწავლებლები მონაწილეობას იღებენ ამერიკულ აკადემიაში გამართულ ვორკშოპებში. ვორკშოპების მიზანია, რომ მონაწილეებს საშუალება ჰქონდეთ დაეუფლონ დისკუსიაზე დაფუძნებულ სწავლების, ე.წ. ჰარვარდის მეთოდს. ჰარვარდის მეთოდი ამერიკული აკადემიის ძირითადი სწავლების მეთოდია და გულისხმობს საკლასო გარემოში დემოკრატიული, სიღრმისეული დისკუსიების წარმართვას. 2023-2024 სასწავლო წლის განმავლობაში 7 ასეთი ვორკშოპი ჩატარდა. 2024-2025 წელს ჩატარდა 9 ვორკშოპი

3. მოსწავლეთა თვითმართველობათა ქსელის შექმნა. ამერიკული აკადემია ხელმძღვანელობს საქართველოს საჯარო სკოლების მოსწავლეების თვითმართველობების ქსელის ჩამოყალიბების პროცესს. ქსელის მიზანია, რომ მოსწავლეებისთვის საინტერესო გახადოს სკოლის თვითმართველობებში მონაწილეობა. ქსელი ასევე ხელს უწყობს სკოლებს შორის თანამშრომლობითი ურთიერთობების ჩამოყალიბებას, მოსწავლეების საჭიროებების კვლევასა და ამ კვლევებზე დაფუძნებულ აქტივობებს. 2022-2023 სასწავლო წელს შემუშავდა ქსელის ძირითადი სტრუქტურა, გაწევრიანდა 200-ზე მეტი სკოლა და ჩამოყალიბდა თვითმართველობათა ქსელის აღმასრულებელი საბჭო, რომელშიც საქართველოს თითოეული რეგიონიდან დემოკრატიულად არჩეული წევრები მუშაობენ. ამავე წელს ჩატარდა კვლევა, რომელიც სასკოლო ექსპურსიების გამოწვევებს ეხებოდა.
4. ონლაინ კურსების შემუშავება. ამერიკული აკადემია 2022-2023 სასწავლო წლის განმავლობაში მუშაობდა საჯარო სკოლებისთვის ხელმისაწვდომ ონლაინ კურსების შემუშავებაზე. ონლაინ კურსები გამიზნულია სამოქალაქო განათლების გაძლიერებაზე და გულისხმობს ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე ელექტრონული რესურსების შემუშავებაზე. 2024-2025 წლებში შემუშავდა 6 ასეთი კურსი. კურსების გავლა შესაძლებელია სპეციალურ პლატფორმაზე ბმულზე: <https://ecivics.ge>

ინტელექტუალური საკუთრება

ამერიკული აკადემიის პედაგოგების უმრავლესობა არაერთი სახელმძღვანელოს, სამეცნიერო ნაშრომისა თუ პუბლიკაციის ავტორია, მათი ნაწილი ასევე მთარგმნელობით საქმიანობას ეწევა. ამერიკული აკადემიის მასწავლებლების მიერ შექმნილი სახელმძღვანელოებით მოსწავლეები სხვადასხვა საგნებს სწავლობენ.

ამერიკულმა აკადემიამ რამოდენიმე პროგრამას ჩაუყარა საფუძველი - ესენია შაბათის სკოლა, ზაფხულისა და შაბათის აკადემია.

დამატებითი ინფორმაცია

- სუბიექტის მიერ წარმოებული კვლევებისა და მისი განვითარების მიმოხილვა:

2024 წელს კომპანიას კვლევები არ ჩატარებია.

- ინფორმაცია სუბიექტის ფილიალების საქმიანობის შესახებ:

სს გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში ფილიალები არ გააჩნია.

- ინფორმაცია საკუთარი აქციების შესახებ:

კომპანიის აქციების საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 1,056,600 ლარს. აქციონერების მიერ აქციის შესაძენად ნომინალურ ღირებულებაზე ზედმეტად გადახდილი ოდენობა, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 701,371 ლარს. აქციების ნომინალური ღირებულებაა 100 (ასი) ლარი. სულ გამოშვებულია ნომინალური ღირებულების 25,000 ცალი აქცია. აქედან რეალიზებულია 10,566 ცალი აქცია. რაც გაცხადებული კაპიტალის 42.264 %-ს შეადგენს. რეალიზებულ აქციებს მატერიალიზებული ფორმა არ აქვთ.

გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში
მმართველობის ანგარიშგება
31 დეკემბერი 2024 წელი

რისკები და ფინანსური მაჩვენებლები

ფინანსური მაჩვენებლები

	2024	2023
საოპერაციო შემოსავლები	7,818,976	7,643,068
საოპერაციო ხარჯები	(8,106,190)	(7,332,022)
არასაოპერაციო შემოსავალი / ხარჯები	262,357	122,051
მოგების გადასახადი	-	-
წმინდა მოგება	(24,857)	433,097
წმინდა მოგების % (წმინდა მოგება / საერთო შემოსავლებთან)	-0.32%	5.67%

	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
სულ მიმდინარე აქტივები	4,656,761	4,467,770
სულ გრძელვადიანი აქტივები	9,841,551	9,965,655
სულ აქტივები	14,498,312	14,433,425
სულ მიმდინარე ვალდებულებები	3,960,094	3,875,810
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	163,760	158,300
სულ ვალდებულებები	4,123,854	4,034,110
სულ კაპიტალი	10,374,458	10,399,315
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	14,498,312	14,433,425
მიმდინარე ლიკვიდურობა (მიმდ. აქტივები / მიმდ. ვალდებულებები)	118%	115%
ლევერიჯი (ვალდებულებები / საკუთარი კაპიტალი)	40%	39%

ინფორმაცია სუბიექტის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვასა და ამ რისკების მართვის მექანიზმების შესახებ შესახებ:

- საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი, როდესაც ერთი მხარის მიერ ფინანსური ინსტრუმენტის ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს მეორე მხარის მიერ ფინანსური დანაკარგების მიღებას. საკრედიტო რისკი წარმოიშობა ფული და ფულის ეკვივალენტებიდან, დებიტორული დავალიანებიდან, მიმდინარე ფინანსური აქტივებიდან და სხვა მიმდინარე აქტივებიდან. კომპანიის ფული და ფულის ეკვივალენტები შეადგენს **3,073,605** ლარს (2023 წელი: 2,964,720 ლარი), დებიტორული დავალიანება არის **63,492** ლარი (2023 წელი: 74,661 ლარი), მიმდინარე ფინანსური აქტივები არის **1,403,400** ლარი (2023 წელი: 1,344,586 ლარი), ხოლო სხვა მიმდინარე აქტივები **22,685** ლარი (2023 წელი: ნული ლარი) შესაბამისად, მაქსიმალური საკრედიტო რისკი კომპანიისთვის საანგარიშგებო თარიღისათვის იყო **4,563,182** ლარი (2023 წელი: 4,383,967 ლარი).

- ლიკვიდურობის რისკი

კომპანიისთვის ლიკვიდურობის რისკი შეიძლება განსაზღვრულ იქნეს როგორც აქტივების ფულად ქცევის შეუძლებლობა, როდესაც აუცილებელია ვალდებულების განსაზღვრულ ვადაში დაფარვა. ლიკვიდურობის რისკი არსებობს მაშინ, როცა აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადებში სხვაობაა. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სულ ფინანსური აქტივები იყო **4,540,497** ლარი (2023 წელს შესაბამისად 4,383,967 ლარი), ხოლო სულ ფინანსური ვალდებულებები იყო **326,049** ლარი (2023 წელს შესაბამისად 386,943 ლარი). წმინდა ლიკვიდურობის სხვაობამ შეადგინა **4,214,448** ლარი (2023 წელს შესაბამისად 3,997,024 ლარი).

- საბაზრო - სავალუტო რისკი

საკურსო სხვაობის რისკს წარმოქმნის უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები. კომპანია მგრძნობიარეა აშშ დოლარის/ლარის გაცვლითი კურსის ცვალებადობის მიმართ. ამის მიზეზია კომპანიის მფლობელობაში არსებული სადეპოზიტო სერთიფიკატის თანხა, რომელიც უცხოურ ვალუტაში იყო წარმოდგენილი. კურსთა შორის სხვაობით წარმოდგენილი რისკების შესამცირებლად კომპანია ახორციელებს ვალუტის შესყიდვას სასწავლო პროცესის დაწყებამდე, ავანსად მიღებული სწავლის საფასურიდან, ერთი სასწავლო წლის განმავლობაში. ამით კომპანია თავს იზღვევს კურსთა შორის სხვაობით გამოწვეული რისკებისაგან.

- ფულადი ნაკადების რისკები და მათი მართვის მექანიზმები

ისტორიულად, საოპერაციო ფულადი ნაკადები პოზიტიურია ავანსად გადახდილი სწავლის საფასურის აკუმულირების გამო.

- ინფორმაცია კომპანიის ძირითადი რისკებისა და გაურკვევლობების შესახებ

საანგარიშო პერიოდში კომპანიის ფინანსური სტაბილურობა მყარია.

- ინფორმაციას ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით სუბიექტის მიზნებისა და პოლიტიკის შესახებ

2024 წელს სკოლა აგრძელებს ფინანსური დახმარების პროგრამას ხელმოკლე ოჯახებიდან ჩარიცხული მოსწავლეების მიმართ. ამავე დროს სკოლაში დანერგილია სწავლის საფასურის გადახდის მოქნილი გრაფიკი.

- გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საკითხები

აკადემია ტერიტორიულად განლაგებულია ეკოლოგიურად სუფთა, მწვანე გარემოში, ლისის ტბის მიმდებარედ, ტყეში. მოსწავლეთათვის უზრუნველყოფილია უსაფრთხო და მშვიდი სასწავლო პროცესი. აკადემია სრულიად იცავს სახელმწიფოს მიერ დაწესებულ გარემოს დაცვასთან და ეკოლოგიასთან დაკავშირებულ ყველა მოთხოვნას.

- ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტება:

კომპანია მიიჩნევს რომ ფინანსური ანგარიშგება სრულად შეიცავს იმ ინფორმაციას, რასაც მოითხოვენ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლები და აღარ საჭიროებს რაიმე დამატებით კომენტარების წარმოდგენას მმართველობით ანგარიშგებაში.

გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში
მმართველობის ანგარიშგება
31 დეკემბერი 2024 წელი

- საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენების შედეგად წარმოქმნილი რისკების ანალიზი:
საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ რაიმე სხვა მნიშვნელოვან მოვლენას ადგილი არ ჰქონია.

ანდრეს კრუზი

დირექტორი



თარიღი: 11 აპრილი, 2025 წელი